

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

**ლია გორგაძე**

**დისტანციური სწავლება ონლაინინსტრუმენტების გამოყენებით**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **ხათუნა ხალვაში**  
განათლების აკადემიური დოქტორი

**ხიჭაური**

**2021**

## ანოტაცია

წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების მაგისტრანტ ლია გორგაძის ნაშრომში „დისტანციური სწავლება ონლაინინსტრუმენტების გამოყენებით“ საუბარია, რამდენად მნიშვნელოვანია ციფრული უნარ-ჩვევების ფლობა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის, ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი რეალობა, პანდემია და მოულოდნელად გადასვლა დისტანციურ სწავლებაზე. თუმცა, გარდა დისტანციური სწავლებისა, სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლებისათვის აუცილებელია მოზარდთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი ხარისხიანი, საინტერესო და მრავალფეროვანი რესურსები, რის საშუალებასაც სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენებული ონლაინინსტრუმენტები იძლევა.

თემის მიზანია ონლაინპლატფორმებისა და პროგრამების გაცნობა მასწავლებლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ ზრდას ციფრული ტექნოლოგიების ფლობაში, თემში საუბარია ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე, თუმცა წარმოდგენილი ნაშრომი სხვადასხვა საგნის მასწავლებლისათვის საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს.

პრაქტიკული თვალსაზრისითაა ნაშრომში წარმოდგენილი ონლაინპლატფორმებისა და ონლაინპროგრამების მნიშვნელობა დისტანციურ გაკვეთილებზე, მათი გამოყენების აქტუალობა. ასევე, გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე ონლაინინსტრუმენტების გამოყენება, რეკომენდაციები და კვლევა საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემოთვაზებულია ჩემ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

ნაშრომი ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად. შედგება 2 თავის, 5 პარაგრაფის, კვლევის, დასკვნებისა და რეკომენდაციების, ჩემ მიერ შექმნილი რესურსების, ასევე გამოყენებული ლიტერატურის დასახელებისაგან.

## **annotation**

Lia Gorgadze, a graduate student at St. Tbel Abuseridze Teaching University, talks about the importance of digital skills for teachers and students, a clear example of which is today's reality, a pandemic and the sudden transition to distance learning. However, in addition to distance learning, in order to increase the diversity of the learning process, student engagement and motivation, it is necessary to have quality, interesting and diverse resources created taking into account the interests of adults, which allows online tools targeted in the learning process.

The aim of the topic is to introduce online platforms and programs for teachers, which will contribute to their professional growth in the possession of digital technologies. The topic discusses the direction of Georgian language and literature, but the presented paper is necessary information for teachers of different subjects.

From a practical point of view, the importance of online platforms and online programs presented in distance learning in distance learning, the urgency of their use. Also, using online tools at different stages of the lesson, making recommendations and research based on my own pedagogical experience, the teaching resources I have created are offered.

The paper is a kind of guide for conducting distance lessons. Consists of 2 chapters, 5 paragraphs, research, conclusions and recommendations, resources created by me, as well as the title of the literature used.

## სარჩევი

შესავალი.....	5
<b>თავი I. დისტანციური სწავლება.....</b>	<b>10</b>
§1. არსებული ვითარების ანალიზი.....	10
§2. დისტანციური სწავლების ორგანიზება .....	14
<b>თავი II. ონლაინპლატფორმები სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის.....</b>	<b>18</b>
§1. ვირტუალური კლასები Microsoft Teams-ში.....	18
§2. ონლაინ სასწავლო პლატფორმები.....	28
§3. ონლაინპროგრამები განათლების ხარისხის ამაღლებისთვის.....	33
§4. გაკვეთილის დაგეგმვა ონლაინრესურსების საშუალებით დისტანციური სწავლებისას.....	50
§5 „ახალი სკოლის მოდელი“ და ტექნოლოგიების ინტეგრირება კომპლექსურ დავალებებში....	55
დასკვნები და რეკომენდაციები .....	58
გამოყენებული ლიტერატურა:.....	60

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** დისტანციურ სწავლებაში ონლაინინსტრუმენტების ინტეგრირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მათი სწორი გამოყენებით არის შესაძლებელი სახალისო, მრავალფეროვანი, მოსწავლეთა ინტერესებს მორგებული და მათთვის მარტივი ფორმით ელექტრონული რესურსების შექმნა. რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დისტანციური სწავლების პროცესში, დისტანციური სწავლებისას მოსწავლეს უხდება ეკრანით სწავლა, ამიტომ ეკრანზე ნაჩვენები რესურსი უნდა იყოს საკითხის სიღრმისეული წვდომის გათვალისწინებით შექმნილი, რომ უზრუნველყოს მოსწავლეს მიაწოდოს შესასწავლ თემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი საკითხი. ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელი ფლობდეს ონლაინინსტრუმენტებს, ქმნიდეს რესურსებს და აქტიურად იყენებდეს სასწავლო პროცესში, რათა მოსწავლე გაიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგამდე, განუვითაროს ასაკის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც ციფრული ტექნოლოგიების აუცილებლობა დღითიდღე იზრდება, მოსწავლეები ეუფლებიან ციფრულ უნარ-ჩვევებს, ისინი უნებურად ინტერესდებიან ელექტრონულად შეთავაზებული საკითხით.

მოსწავლეთა მაღალი ინტერესი ციფრული ტექნოლოგიებისადმი აღმოჩნდა ჩემთვის სწავლების ფორმის, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მოტივატორი. როგორ დამეგეგმა და ჩამეტარებინა გაკვეთილები ისე, რომ არ ყოფილიყო მოსაწყენი, გაზრდილიყო მოსწავლეთა ინტერესი. წლებია უკვე სასწავლო პროცესს წარვმართავ ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებით, ვცდილობ, ავიმადლო ცოდნა, ვესწრები ტრენინგებს, ვმონაწილეობ კონფერენციებში. ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე ვიყავი მომხსენებელი თემისა „მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება დისტანციურ გაკვეთილზე“, სადაც ვისაუბრე სხვადასხვა საიტის გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპის, აქტივობის, მიზნის შესაბამისად შექმნილ რესურსებზე. დღესაც აქტიურად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში ელექტრონულ რესურსებს.

**კვლევის მიზანი:** დისტანციური სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგის მიღწევის გზების ძიება, სასწავლო პროცესში

ონლაინპლატფორმებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების მნიშვნელობის დადგენა, მეთოდებისა და სტრატეგიების განსაზღვრა მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით.

**კვლევის ამოცანები:** 1. დისტანციური სწავლების პრობლემების განსაზღვრა. 2. ინფორმაციის მოპოვება საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვებით, კვლევებითა და სხვადასხვა წყაროებით. 3. ინფორმაციის ანალიზი. 4. დისტანციური სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლება თანამედროვე მეთოდებითა და სხვადასხვა ვებსაიტის გამოყენებით. 5. დღევანდელი გადასახედიდან დისტანციური სწავლების აუცილებლობის დასაბუთება. 6. დისტანციური სწავლების, როგორც სწავლის ფორმის დადებითი მხარეების წარმოჩენა. 7. რეკომენდაციები მასწავლებლებს დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის და ჩემ მიერ შექმნილი რესურსების შეთავაზება.

**კვლევის მეთოდები:** დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის, წყაროების ანალიზი, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, რესურსების შექმნა სხვადასხვა საიტებით, გაკვეთილის შენადგენელი ელემენტების შესაბამისობა ვებრესურსებთან, ინტერვენცია.

**კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა-**სსიპ-ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა, სსიპ-სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკოს საჯარო სკოლა, სსიპ- სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა. სსიპ- დავით მამულაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო თხილვანის საჯარო სკოლა. სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სკვანის საჯარო სკოლა.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** რესურსების ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით, დისტანციური სწავლების უპირატესობების ჩვენება, პარალელები დასწრებულ სწავლებასთან.

**კვლევის თეორიული მნიშვნელობა:** წარმოდგენილი ნაშრომი მცირე გზამკვლევაა დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** სწავლების ფორმის აქტუალობა ნებისმიერ დროს. დისტანციური სწავლება ეფექტური ფორმაა, ცოდნის მიღება ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან არის შესაძლებელი. სურვილი, განათლების მიღების სურვილის შემთხვევაში დრო და ტერიტორიულობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას.

**კვლევის შედეგების პერსპექტიულად გამოყენების სფერო:** ყველა დონის სასწავლო დაწესებულებაში შესაძლებელია ონლაინ, სახლიდან გაუსვლელად განათლების მიღება.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება: შესავალის, ორი თავის, ხუთი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

პირველი თავი „დისტანციური სწავლება“ , ორი პარაგრაფისაგან შედგება. პირველ პარაგრაფში „არსებული ვითარების ანალიზი“ საუბარია პანდემიის პირობებში სწავლის გაგრძელებასა და მოულოდნელად სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადაწყობასთან დაკავშირებით. შეწყვეტილ-შეცვლილი ცხოვრების წესი, ახალი გამოწვევები, ახალი და მოულოდნელი სირთულეები. სწავლა-სწავლების ონლაინ/დისტანციურ ფორმატზე გადასვლა ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევა აღმოჩნდა განათლების მუშაკებისათვის. დისტანციური სწავლება სირთულეა ასე უცებ კომპიუტერულ სწავლებას შეჭიდებული პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, რომლებსაც მანამდე არც კი უფიქრიათ და ვერც კი წარმოედგინათ ასე, ვირტუალურ საკლასო ოთახებში თუ წარმართებოდა სწავლა. მაგრამ ამ რთულ ეპიდსიტუაციაში, როდესაც უმთავრესია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მასწავლებლებმა შეძლეს და გაუმკლავდნენ ამ არც თუ ისე მარტივსა და მოულოდნელ სწავლების ფორმას. შეძლეს და დისტანციურად გააგრძელეს მომავალი თაობის გონების წვრთნა, არა მერხი-სკამი, არა დაფა-ცარცი, მაგრამ ეკრანი, რომელსაც, თუ სწორად წარმართავ, მართლაც, საოცარი შედეგის დადება შეუძლია და საზოგადოების ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გაკვეთილები. მასწავლებლის ვირტუალური საკლასო ოთახის კარები ფართოდ იყო გაღებული სახლში ჩაკეტილი საზოგადოებისათვის. მოკლე დრო და ონლაინფორმატი მასწავლებელს აიძულებდა წინასწარ ეფიქრა და ისეთი ეფექტური რესურსი შეექმნა, რომლის საშუალებითაც მოკლე დროში შეძლებდა მასალის ახსნა-განმტკიცება, შეჯამებას, ეს

მართლაც რთული იქნებოდა, რომ არა სხვადასხვა საიტი, რომლებმაც შესაძლებელი გახადა მასწავლებელს მოკლე დროში განხორციელებინა აუცილებელი აქტივობები.

მეორე პარაგრაფში „დისტანციური სწავლების ორგანიზება“, საუბარია დისტანციურ სწავლებაზე. რა არის, საიდან იღებს სათავეს, ვინ ითვლება მის ფუძემდებლად, დისტანციური სწავლება წარიმართება სხვადასხვა ფორმით: სინქრონული, ასინქრონული და ჰიბრიდული. განხილულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, წარმოდგენილია SWOT ანალიზი.

მეორე თავის „ონლაინპლატფორმები სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის“ პირველ პარაგრაფში განხილულია „ვირტუალური კლასები Microsoft Teams-ში“. როგორ ხდება კლასების შექმნა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარება, აქ საუბარია დისტანციური სწავლებისას, მასწავლებელს რა შესაძლებლობა აქვს, როგორ დაგეგმავს შეხვედრებს და როგორ დაეხმარება შეხვედრის ორგანიზებაში თიმის კალენდარი, რომელ აქტივობას როგორ განხორციელებს, გაკვეთილის გეგმის შემადგენელ ეტაპებს როგორ გაივლის, როგორ აუხსნის და შეაჯამებს გაკვეთილს, როგორ მისცემს და შეაფასებს საშინაო დავალებას. როგორ აწარმოებს მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვას.

მეორე პარაგრაფში „ონლაინ სასწავლო პლატფორმები“, საუბარია სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით გაკვეთილის ჩატარების შესაძლებლობაზე, როგორ იგეგმება სასწავლო შეხვედრები, რა შესაძლებლობა აქვს მასწავლებელს სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად.

მესამე პარაგრაფში „ონლაინპროგრამები განათლების ხარისხის ამაღლებისთვის“ საუბარია სხვადასხვა საიტებზე, სადაც შესაძლებელია ელექტრონული რესურსების შექმნა, ვიქტორინების, ტესტების შედგენა, ინტერაქტიული ვიდეოს შექმნა, სხვადასხვა ფორმის სავარჯიშოების შედგენა. შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სწავლება თამაშით, სახალისოდ, მათი ინტერესების შესაბამისად, ისე, რომ განუვითარდეთ სააზროვნო უნარები. აქვე ვაანალიზებ ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რა გამოწვევის წინაშე იყვნენ პედაგოგები, რომელ სასწავლო პლატფორმას იყენებდნენ, როგორ იყენებდნენ სასწავლო



ვებრესურსებს. კვლევა სასწავლო პროცესში „ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა დაწყებით კლასებში“ დაკვირვება მოსწავლეებზე, ინტერვენცია.

მეოთხე პარაგრაფში „გაკვეთილის დაგეგმვა ონლაინრესურსების საშუალებით დისტანციური სწავლებისას“, საუბარია გაკვეთილის რომელ ეტაპზე, რომელი ვებრესურსის გამოყენებაა შესაძლებელი, მაგ. დისტანციური სწავლებისას წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის რა შესაძლებლობა აქვს მასწავლებელს, გაკვეთილის ასახსნელად რომელი ვებრესურსი გამოადგება, დალაგებულია ვებრესურსები გაკვეთილის ეტაპების გათვალისწინებით.

მეხუთე პარაგრაფში „ტექნოლოგიების ინტეგრირება კომპლექსურ დავალებებში“, საუბარია ახალი სკოლის მოდელის შესაბამისად გაკვეთილების ჩატარებასა და კომპლექსური დავალებების შედგენაზე, თუ როგორ მივაწოდოთ კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს. განხილულია სხვადასხვა პროგრამის ინტეგრირება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას.

ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია ჩემ მიერ შექმნილი ონლაინრესურსები, აგრეთვე დასკვნები და რეკომენდაციები დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად.

გამოყენებულ ლიტერატურაში განხილულია ის სახელმძღვანელოები, ვებსტატიები და სატრენინგო მასალები - „ახალი სკოლის მოდელი“, რომლებზეც აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით ვიმუშავე.

## თავი I. დისტანციური სწავლება

### §1. არსებული ვითარების ანალიზი

საქართველოში ვირუსის გავრცელებამ და ეპიდსიტუაციამ განაპირობა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. ბევრ ქვეყანაში ელექტრონული სწავლების ათეული წლის გამოცდილება აქვთ, საქართველოში სწავლების ტრადიციული მეთოდი იყო აღიარებული. სწორედ ამიტომ კოვიდ-19-ის დროს სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ გარკვეული დისკომფორტი გამოიწვია სკოლებსა და სასწავლებლებში, მაგრამ, მიუხედავად ამ მოულოდნელი გამოწვევისა, სასწავლო წელი არ გამოცხადებულა აკადემიურ წლად. მთავრობა ზრუნავდა სწრაფად მომხდარიყო ადაპტირება დისტანციური სწავლების ფორმაზე. ამ მხრივ არაერთი ხელშემწყობი სასწავლო პლატფორმა შეიქმნა.

კოვიდ-19-ის პრევენციის მიზნით შეიქმნა დევიზი „დარჩი სახლში“. ასეთ პირობებში, მოულოდნელად დისტანციურ სწავლაზე გადასული პედაგოგები, დიდ თანადგომას იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ. სოციალურ ქსელში არაერთი ჯგუფი შეიქმნა, სადაც ახალ ვირტუალურ საკლასო ოთახებთან მუშაობის პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე უანგაროდ ეხმარებოდნენ ერთმანეთს. უწყვეტ რეჟიმში იმართებოდა კითხვა-პასუხი, ასევე არაერთი ვიდეორგოლი ჩაიწერა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რაც მასწავლებელს უადვილებდა დისტანციური გაკვეთილის დაგეგმვას. სოციალურ ქსელებში ასეთი ჯგუფების შექმნის მთავარი მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება, ერთიმეორის თანადგომა, გამხნეება, რესურსების გაზიარება, რესურსების შექმნის საშუალებების გაცნობა, ონლაინინსტრუმენტების გამოყენების გაზიარება კოლეგებისათვის. ეს სწორედ რომ დროული აღმოჩნდა, რადგან მოულოდნელად ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა პედაგოგი და თითოეულისათვის ასეთი მხარდაჭერა აუცილებელიც კი იყო. ამ ჯგუფებმა ერთგვარი ტრენინგების ფუნქციაც შეითავსა ერთი განსხვავებით, აქ ტრენინგი (არაოფიციალურად) ყველა საჭირო საკითხზე იყო.

მართალია, არავინ იყო მზად სწავლის ამ ფორმაზე გადასასვლელად, ამან თითქოს საფრთხის წინაშეც კი დააყენა განათლების სისტემა, მაგრამ მალე მოიხსნა დაბნეულობა, პედაგოგებმა აუღეს ალღო და ყველა მოერგო დისტანციური სწავლების მოდელს. დიდი დატვირთვით მოუხდათ პედაგოგებს მუშაობა, რამაც განაპირობა მათი სწრაფი პროფესიული ზრდა. თუმცა დანამდვილებით შედეგებზე საუბარი რთულია, რადგან აქ სწავლების სიახლეს ჰქონდა ხელშემშლელი ფაქტორებიც, გაუმართავი კომპიუტერები, ტელეფონები, სუსტი ინტერნეტი...

შემდგომად, ისწავლეს, ჩაატარეს, მოკლე დროში ყველა პედაგოგი მოერგო ციფრული სამყაროს შესაძლებლობებს, ამაში შეიძლება დადებითიც კი დავინახოთ სამომავლოდ, სასკოლო სივრცეში ონლაინინსტრუმენტებით მრავალფეროვანი და სახალისო გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელი, დაიგეგმება ინოვაციური გაკვეთილები. პანდემიამ შეიძლება დააჩქაროს სოფლებში ინტერნეტის შეყვანა. მშობლები კი აქტიურად ჩაერთვებიან შვილების სასწავლო პროცესში. ელექტრონული სწავლება შესაძლებელს გახდის რეგიონებში მცხოვრებმა მოსწავლემ დაახლოებით იმავე დონის ცოდნა მიიღოს, როგორც ქალაქებში მცხოვრები ღებულობს.

პანდემიამ განაპირობა, რომ 2019-2020 სასწავლო წლის მარტიდან დისტანციური სწავლებით დასრულდა სასწავლო პროცესი სკოლებსა და სასწავლებლებში, ასევე დისტანციურად დაიწყო 2020-2021 სასწავლო წელი მთლიანად აჭარასა და საქართველოს დიდ ქალაქებში.

ვსაუბრობთ დისტანციურ სწავლებაზე და მისი დანერგვის მთავარ პირობად საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში სახელდება პანდემია, თუმცა დისტანციური სწავლების დანერგვა უკვე იყო დაწყებული, გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონებში იყო მასწავლებლის დეფიციტი, ეს გარკვეულწილად გამოიწვია მასწავლებლისთვის შეთავაზებულმა საპენსიო ჯილდომ. რეგიონების სკოლებისთვის შექმნილი პროგრამა „სწავლე საქართველოსთვის“ გარკვეულ ბიუჯეტთან იყო დაკავშირებული და მასწავლებლისაგან მოითხოვდა ადგილზე მისვლას, რასაც მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებდნენ, სწორედ ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება ასეთ დეფიციტურ სიტუაციაში გადასულიყვნენ დისტანციურ

სწავლებაზე, დისტანციური სწავლების მასწავლებელს ევალუბოდა კონტრაქტის მიხედვით სემესტრის განმავლობაში ერთხელ გამოცხადებულიყო სკოლაში მოსწავლეთა გაცნობის მიზნით და ერთი გაკვეთილი ჩაეტარებინა. დისტანციური სწავლებისთვის გადაამზადეს მასწავლებლები, ჩაუტარეს ტრენინგები, თუ როგორ უნდა ესწავლებინათ დისტანციურად, როგორ გამოეყენებინათ ოფისის აპლიკაციები, როგორ შეექმნათ ბმულები მოსწავლესთან გასაზიარებლად, რომ წარემართათ სასწავლო პროცესი, ამ ყველაფერს მონიტორინგს უწევდნენ შესაბამისი საგნის ექსპერტები.

საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემძლია ვთქვა, რომ არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდა მოსწავლეების შემოკრება კომპიუტერთან და გაკვეთილის წარმართვა, ხან არ ესმით და იმეორებ, ხან ვერ ხედავენ ეკრანს, ან ვერ წერენ დაფაზე, ან გაუქრათ ნაწერი, ან ვერ იპოვეს ფაილი, ან ვერ გახსნეს ლინკი. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, სანამ ეს ყველაფერი ნაწილობრივ შესაძლებელი გახდებოდა. ტექნოლოგიების მრავალფეროვანი შესაძლებლობები მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა თითქმის ერთად ვისწავლეთ, მხოლოდ ერთი ნაბიჯით ვუსწრებდით წინ მოსწავლეს, ვსწავლობდით და ვასწავლიდით. პანდემიამ გამოიწვია ჩვენი, მასწავლებლების პროფესიული ზრდა ტექნოლოგიების საკითხებში, თუკი დასაწყისში ისიც კი არ ვიცოდით, როგორ უნდა შეგველო თიმის შეხვედრაზე დასწრების კარები, მოკლე დროში ჩვენ ვისწავლეთ ის, რაც გვევალებოდა, ხოლო როგორ ვისწავლეთ, ამას, ალბათ, მოსწავლეები წარმოაჩინენ, ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და მასწავლებელიც თავისი შრომის შედეგს მოსწავლის წარმატებულ მომავალში ხედავს. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენ მიერ შეთავაზებული დისტანციური გაკვეთილები.

ასეთ ვითარებაში საყურადღებოა ორი საკითხი: ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი და მოსწავლეთა შეფასება. მასწავლებლებს მოუხდათ გეგმების მოდიფიცირება, რადგანაც უბრალოდ შეუძლებელია დისტანციურად იმ საათობრივი დატვირთვით გაიარო სასწავლო პროგრამა, როგორც დასწრებული სწავლების დროს ხდება. მეორე საყურადღებო საკითხი კი არის მოსწავლეთა შეფასება, რომელიც პანდემიის პირობებში აქტუალური

აღმოჩნდა არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, დიდი ინტერესი ჩანდა მშობელთა მხრიდან. სასწავლო დაწესებულებებს ჰქონდათ ვალდებულება ეწარმოებინათ შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელიც. არაერთი სტატია თუ კომენტარი დაიწერა აღნიშნულ საკითხზე სოციალურ ქსელში. ზოგიერთის შეხედულებით საერთოდ არ უნდა გაკეთდეს დისტანციური სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასება და მხოლოდ განმავითარებლით უნდა შემოვიფარგლოთ, თუმცა ისევ არსებულ შედეგებზე დაყრდნობით (დასწრებული და დისტანციური სწავლების შედეგები) შეფასდნენ მოსწავლეები განმსაზღვრელი შეფასებით და, ვფიქრობ, ეს სწორია, რადგან ცოდნის შემოწმებისა თუ შემაჯამებელი გაკვეთილების ჩასატარებლად არაერთ ეფექტურ საიტს ვიყენებდით, რასაც მონიტორინგს უწევდა ონლაინ რეჟიმში ჩართული მასწავლებელი და სავარჯიშოს შედეგთან ერთად მისი შესრულების დროის ლიმიტიც განისაზღვრებოდა.

საგანმანათლებლო სივრცის სწრაფმა გადაწყობამ დისტანციურ სწავლებაზე აჩვენა დისტანციური სწავლების პრაქტიკულობა, თუმცა არაერთი პრობლემის წინაშე აღმოაჩინა საზოგადოება. აქ მთავარი საკითხი იყო ყველას ჰქონოდა ხელმისაწვდომობა კომპიუტერებთან, ინტერნეტთან, ონლაინ წიგნებსა თუ ონლაინ სწავლებასთან. განურჩევლად ყველას უნდა ჰქონოდა განათლების მიღების საშუალება, ამ მხრივ სამინისტრომ არაერთი ღონისძიება გაატარა. თუმცა სიციალური უთანასწორობაც გამოიკვეთა, სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ინტერნეტისა და კომპიუტერის პრობლემის გარდა გამოიკვეთა მშობლების მხრიდან ციფრული ტექნოლოგიების არცოდნის პრობლემა. რის საფუძველზეც მოსწავლეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ. რომელი ოჯახშიც მშობლებს ჰქონდათ მეტი კომპეტენციები ტექნოლოგიებში, მათმა შვილებმა მარტივად გაიარეს სასწავლო პროცესი.

ვფიქრობ, დისტანციური სწავლება საერთოდ არ არის განათლების მიღების მანკიერი ფორმა, აქ მთავარია მასწავლებელი, რომელიც კარგად ფლობს კომპიუტერს და მოსწავლე, რომელიც დაინტერესებულია ცოდნის მიღებით.

## §2. დისტანციური სწავლების ორგანიზება

ელექტრონული სწავლება არის სწავლების ფორმა, რომელიც ხორციელდება ელექტრონული პლატფორმების ან ციფრული, ონლაინრესურსების გამოყენებით, როდესაც მოსწავლეები ან სტუდენტები ფიზიკურად არ იმყოფებიან საკლასო ოთახებსა თუ აუდიტორიებში. ეს არის სწავლის ის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლას მაშინაც კი, თუ ინფორმაციის წყარო და მიმღები ტერიტორიულად ან დროით დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან.

დისტანციური სწავლების სათავედ მიიჩნევა 1728 წელი, როდესაც მასწავლებელი ეძებდა მსურველებს, რომლებსაც გაზეთის გზით გადასცემდა ცოდნას, არავინ იცის იპოვა თუ არა ამ მასწავლებელმა მსურველები, მაგრამ ცნობილია, რომ ეს მეთოდი აქტიურად გამოიყენებოდა მე-19 საუკუნიდან, როდესაც საფოსტო სისტემა განვითარდა, ლონდონის უნივერსიტეტში მიიჩნევენ, რომ დისტანციური სწავლება დაწერა ისააკ პიტმანმა, რომელიც დიდ ბრიტანეთში ასწავლიდა სტუდენტებს ფოსტის საშუალებით 1858 წელს. მას შემდეგ სწავლების ეს ფორმა ვითარდებოდა, იხვეწებოდა, თუმცა მისი სრულყოფა მხოლოდ კომპიუტერისა და ინტერნეტის დახმარებით მოხდა, ანუ სწავლების დისტანციური ფორმის დამკვიდრება განაპირობა კომპიუტერებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ.

ელექტრონული სწავლების რამდენიმე მოდელი განიხილება, იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებიდან გამომდინარე ხდება სწავლება.

**სინქრონული სწავლების** მოდელი არის დისტანციური სწავლების ფორმა, რომლის დროსაც რომელიმე პლატფორმის საშუალებით ხდება აუდიო-ვიდეოკომუნიკაცია, პლატფორმაში მოსწავლეები და მასწავლებლები მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით ერთდროულად ერთვებიან. სინქრონული სწავლების უპირატესობა ისაა, რომ პროცესი ცოცხალია, რასაც ვერ ვიტყვით ასინქრონული მოდელის შემთხვევაში. **ასინქრონული სწავლებისას** სწავლა

ხდება დამოუკიდებლად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, არ ხდება რეალური კომუნიკაცია, სწავლისას გამოიყენება აუდიო/ვიდეოფაილები, ციფრული რესურსები, ტელესკოლა.

თუ კი დასწრებული სწავლების შემთხვევაში, რომელიმე საგნის მასწავლებელი არ არის, ეს შეიძლება იყოს რეგიონის სკოლა, ან უნივერსიტეტი იძლეოდეს სტუდენტებისთვის შესაძლებლობას დისტანციური რეჟიმით ცოდნის მიღებისა ე.ი. გამოიყენება **ჰიბრიდული** მოდელი. ჰიბრიდული სწავლა გულისხმობს კომბინაციას დასწრებული სწავლისა და რომელიმე ელექტრონული სწავლების მოდელის შორის.

დისტანციურ სწავლებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

**SWOT ანალიზი**

<p><b>დადებითი მხარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა</li> <li>• მოქნილობა</li> <li>• არჩევანი</li> <li>• ღირებულება</li> <li>• მართვადი</li> <li>• ზოგიერთი მოსწავლისთვის უკეთესია</li> <li>• კარიერა/წინსვლა</li> </ul>	<p><b>უარყოფითი მხარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირისპირ შეხვედრა</li> <li>• აღქმა/რეპუტაცია</li> <li>• მოითხოვს ახალი უნარებისა და ტექნოლოგიების ფლობას.</li> <li>• არანაირი სოციალური ინტერაქცია.</li> <li>• დროის გაყვანა</li> <li>• დაკარგული სტუდენტური ცხოვრება.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობა</b></p> <p>ცოდნის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილზე, მთავარია ინტერნეტი და კომპიუტერი, ან უბრალოდ ინტერნეტში ჩართული ტელეფონი. დავალების შესრულების დრო ინდივიდუალურია, დისტანციური სწავლების შესაძლებლობები იხვეწება, მრავალფეროვნდება და იზრდება მისდამი ინტერესი.</p> <p>მცირდება ყოველგვარი ხარჯი: კვების, საცხოვრებელი ადგილის, მგზავრობის და თან სწავლის ფასები გაცილებით ნაკლებია ელექტრონული სწავლებისას ვიდრე დასწრებულის შემთხვევაში.</p> <p>სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში არ მოუხდება სამუშაო მიატოვოს ან აკადემიურის აღებით შეაფერხოს კარიერული წინსვლა.</p>	<p><b>საფრთხე</b></p> <p>შეიძლება ყველა ადამიანს არ შეეძლოს და ვერ ფლობდეს კომპიუტერს, მაშინ ეს მოდელი მისთვის სირთულეს წარმოადგენს. ცოცხალი ურთიერთობების იკარგება. დისტანციური სწავლება მოსწავლეებისაგან მოითხოვს არაერთი რესურსის მოძიებას, ეს პროცესი ზოგისთვის დამლელი, დამთრგუნველი და შემაშფოთებელია.</p> <p>ბევრისთვის სტუდენტობა სასიამოვნო პერიოდად აღიქმება, დისტანციური სწავლება კი გამორიცხავს სტუდენტურ ცხოვრებას.</p>

**დადებითი მხარე:**

**მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა-** თუ კომპიუტერი და ინტერნეტი არის, მუშაობა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან. თუ ელექტრონული სწავლების ასინქრონული მოდელით ხდება სწავლება, არ მოუწევს ადამიანს დაელოდოს გარკვეულ სემესტრს ან სწავლისთვის განკუთვნილ დროს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეუძლია მიიღოს სასურველი ცოდნა.

**მოქნილობა-** მოსწავლე არ არის მოქცეული ჩარჩოებში. ასინქრონული მუშაობის დროს, მაშინ ისმენს ლექციას როცა სურვილი აქვს, ხოლო სინქრონული სწავლებისას წინასწარ განსაზღვრული გეგმით იცის როდის უნდა ჩაერთოს ონლაინ პლატფორმის გამოყენებით ლექციაზე, გაკვეთილსა თუ სემინარ-კონფერენციაზე და სხვ. ხოლო დავალებების შესრულების დრო ინდივიდუალურია, იცის როდის უნდა ჩააბაროს და წერს როცა სურს.

**არჩევანი-** დასწრებული თუ დისტანციური სწავლება. ბოლო წლების განმავლობაში დისტანციური სწავლების შესაძლებლობები იხვეწება, მრავალფეროვნდება და იზრდება მისდამი ინტერესი, ბევრმა უნივერსიტეტმა დაიწყო ამ მოდელზე მუშაობა და სპეციალური პროგრამების შედგენა.

**ღირებულება-** დროისა და ხარჯების დაზოგვა. ღირებულების მხრივ ყველასათვის ხელმისაწვდომი მოდელია ელექტრონული სწავლება, მცირდება ყოველგვარი ხარჯი: კვების, საცხოვრებელი ადგილის, მგზავრობის და თან სწავლის ფასები გაცილებით ნაკლებია ელექტრონული სწავლებისას ვიდრე დასწრებულის შემთხვევაშია.

**მართვადი-** ინდივიდუალურად შერჩეული კომფორტული სასწავლო გარემო და სქემა.

**ზოგიერთი მოსწავლისთვის უკეთესია-** ყველას არა აქვს ერთნაირი აღქმის უნარი, თუ ის ინტროვერტია, მაშინ მასალის ასათვისებლად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

**კარიერა/წინსვლა-** უწყვეტი კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში არ მოუხდება სამუშაო მიატოვოს ან აკადემიურის აღებით შეაფერხოს კარიერული წინსვლა, კიბერსამყაროში კარგი საშუალებაა დისტანციური სწავლება, რომელიც ინდივიდუალურად რეგულირდება.



### უარყოფითი მხარე

**პირისპირ შეხვედრა**-არ ხდება პირისპირ შეხვედრა. თუ მასწავლებლისა და ლექტორის ყურადღებისა და დახმარების გარეშე ვერ ახერხებს ცოდნის მიღებას მოსწავლე (სტუდენტი), მაშინ ელექტრონული სწავლების ფორმა მისთვის მიუღებელია.

**აღქმა/რეპუტაცია**- არსებობს სხვადასხვა შეხედულებები ამ ტიპის სწავლებაზე. არ ხდება გარემოს ცვლილება, ოჯახური და სასწავლო გარემო იდენტურია.

**მოითხოვს ახალი უნარებისა და ტექნოლოგიების ფლობას**.-შეიძლება ყველა ადამიანს არ შეეძლოს და ვერ ფლობდეს კომპიუტერს, მაშინ ეს მოდელი მისთვის სირთულეს წარმოადგენს.

**არანაირი სოციალური ინტერაქცია**-მიუხედავად იმისა რომ ყველა სასწავლო პლატფორმა იძლევა საშუალებას აუდიო, ვიდეოკომუნიკაციისთვის, ეს ვერ შეცვლის ცოცხალ ურთიერთობებს.

**დროის გაყვანა**-არ ხდება გარემოს ცვლილება, ოჯახური და სასწავლო გარემო იდენტურია.

**დაკარგული სტუდენტური ცხოვრება**-ბევრისთვის სტუდენტობა სასიამოვნო პერიოდად აღიქმება, სტუდენტური ნაცნობობა, ერთად გატარებული სასიამოვნო დრო, ბევრწილად ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე განსაზღვრული მომავალი, დისტანციური სწავლება კი გამორიცხავს სტუდენტურ ცხოვრებას.

თუ გავითვალისწინებთ პატიმრებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მაშინ ეს არასრული ჩამონათვალია დისტანციური სწავლების დადებითი მხარეების გადმოსაცემად, რადგან პატიმრებს მიეცათ საშუალება და ისინი ეროვნულ გამოცდებს აბარებენ, დისტანციური სწავლება კი მისცემს შესაძლებლობას მიიღონ განათლება. ჯერ კიდევ არ არის გარემო სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ეს სწორედ რომ ცოდნის მიღების საუკეთესო საშუალებაა მათთვის, ასევე ასინქრონული სწავლება, ვინაიდან მათ დასწავლის განსხვავებული უნარ-ჩვევები აქვთ. საუკეთესო მოდელია ასევე იმ დიასახლისებისათვის ვისაც ოჯახი და შვილები ჰყავთ, სასწავლებლამდე შორი

მანძილის თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით, დისტანციური მოდელი საუკეთესო საშუალებაა, რათა მიიღონ სასურველი განათლება და არ შეწყვიტონ კარიერული წინსვლა.

გარდა ამისა 21-ე საუკუნის გამოწვევაა ციფრული მოქალაქეობის განვითარება, რომელზე ზრუნვაც დაწყებითი საფეხურიდან უნდა დაიწყოს, დისტანციური სწავლება კი ამის ერთ-ერთი ხელშემწყობია.

ბევრი ქვეყანა იყენებს დისტანციური სწავლების ფორმას, ალბათ საქართველოც მალე შეუერთდება მათ რიცხვს. ირკვევა, რომ იგეგმება დისტანციური სკოლების გახსნა. როგორც ამბობენ, უკვე გატესტეს და გამოსცადეს ეს ფორმა, რაც წინაპირობაა დისტანციური სკოლების გახსნისათვის.

## თავი II. ონლაინპლატფორმები სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის

### §1. ვირტუალური კლასები Microsoft Teams-ში

დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია კარგი, მოქნილი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი დისტანციური გაკვეთილების ჩატარებას. პლატფორმა რაც უფრო მრავალფუნქციურია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა მასწავლებელს მოკლე დროში შეძლოს გაკვეთილის ეტაპების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი გაკვეთილების ჩატარება.

დისტანციური სწავლებისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. ციფრულ სამყაროში ასეთი პლატფორმები პოპულარული და აქტუალური გახდა. პანდემიის დროს მოულოდნელად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისათვის საქართველოს

განათლების სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულება ოფის 365-ის ქსელთან, პლატფორმა, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს სამინისტროს მიერ მინიჭებული მომხმარებლით შეეძლო შესვლა. ამ პროცესმა გაამარტივა Teams-ში რეგისტრაცია და უზრუნველყო სწრაფი ორგანიზება დისტანციური მუშაობის დასაწყებად.

რა არის microsoft Teams-ი? Teams-ი იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი იყოს ინტერაქციული, პლატფორმა უზრუნველყოფს აუდიო/ვიდეოკომუნიკაციას. მიწერ-მოწერას, ეკრანის გაზიარებას, სავარჯიშოების ატვირთვას, სხვადასხვა ფაილის მიღება-გაგზავნას... teams-ის შესაძლებლობა საკმაოდ დიდია და იძლევა იმის საშუალებას, რომ ეფექტურად წარმართოს მასწავლებელმა სასწავლო პროცესი. თიმსი არის დისტანციური სწავლებისთვის მარტივი პლატფორმა, სადაც ყველაფერი ერთ სივრცეშია, ერთი დაწკაპებით იწერება გაკვეთილის ვიდეო და იქვე იტვირთება, იძლევა დოკუმენტზე ერთდროული მუშაობის საშუალებას, მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია თეთრი დაფა და სხვა მრავალი შესაძლებლობა.

Teams-ში მუშაობა იწყება რეგისტრაციით, ელექტრონულ ფოსტაზე დარეგისტრირებით მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომი ხდება Microsoft 365 აპლიკაციები, მათ შორისაა თიმსი.

თიმსის სამუშაო დაფას მასწავლებელი მორგებს საკუთარ საჭიროებებს, თავდაპირველად მასწავლებელი შექმნის სამუშაო ჯგუფებს/კლასებს გაკვეთილის ჩასატარებლად, ან სხვადასხვა დანიშნულების მიზნით მაგ. „სადამრიგებლო“, „დედაენის დღე“, „მშობელთა კრება“ და სხვა. შექმნის იმდენ ჯგუფს, რამდენიც ესაჭიროება. ვინ იქნება კლასის წევრი მასწავლებლის გადასაწყვეტია, ის მოიწვევს მოსწავლეებს კლასების მიხედვით ან სხვა ნიშნით შეარჩევს, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა მიზნით შეიქმნება სამუშაო ჯგუფები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია დაამატოს მასწავლებელიც და ჩატარდეს ინტეგრირებული გაკვეთილი დისტანციურად. დისტანციურად შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები, ტრენინგები, კონფერენციები.

თიმსში კლასების შექმნისა და მოსწავლეთა შემოერთების შემდეგ, მასწავლებელი გეგმავს შეხვედრას, მონაცემები შეაქვს კალენდარში, ამატებს შესაბამის კლასს,

მოსწავლესთან კი მიდის ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნულ შეხვედრაზე: ვინ დაგეგმა, რა ტარდება, რომელ რიცხვში, რომელ საათზე და რამდენ ხანს გრძელდება შეხვედრა. ამ შეტყობინებას მოსწავლე ღებულობს როგორც თიმსში, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე, შეხვედრაზე დასწრება კი შეუძლია როგორც ელექტრონული ფოსტიდან, ასევე თიმსის კალენდარზე უკვე ნაჩვენებ მიმდინარე შეხვედრიდან გაწვევრიანებით.

სავარაუდოდ, დისტანციური სწავლების პირველი შეხვედრა ეთმობა პლატფორმის გაცნობა-მიმოხილვას, აქ უკვე მოსწავლე მოიწყობს საკუთარ გვერდს, მასწავლებელსაც და მოსწავლესაც აქვთ უფლება აირჩიონ ფონი, რომელი ფონის ფონზეც სურთ რომ გამოჩნდნენ, ძირითადად კი მომხმარებლები ირჩევენ აუდიტორიას, და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს აუდიტორიებიდან ხდება ჩართვები.

**რა უპირატესობა აქვს ეკრანის გაზიარებას დისტანციური სწავლებისას?** ეკრანის გაზიარება საუკეთესო საშუალებაა დისტანციური სწავლებისას ეფექტურად წარმართოს სასწავლო პროცესი, ეკრანის გაზიარება საშუალებას იძლევა თვალნათლივ და ცხადად დაინახონ მოსწავლეებმა ის, რისი ჩვენებაც სურს მასწავლებელს. ეს შეიძლება იყოს პრეზენტაცია, რომელიც კონკრეტული საკითხის ასახსნელად სპეციალურად შექმნა მასწავლებელმა. ვორდის დოკუმენტი, რომელსაც ერთობლივი მუშაობისთვის ან ცალკეული სამუშაოსთვის ქმნის მასწავლებელი, ელექტრონული წიგნი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოადგენს ამა თუ იმ ტექსტს. ანიმაცია, ვიდეო, ინტერაქტიული ვიდეო, ჩამონათვალი ვრცელია. ერთი რამ კი ცხადია, მასწავლებელი მხოლოდ ლექციურად ახსნილი გაკვეთილითა და კითხვა პასუხებით მოკლე დროში ვერ შეძლებს მიაღწიოს იმ მიზანს, რასაც კარგად დაგეგმილი გაკვეთილის შემთხვევაში ეკრანის ჩვენებით მიაღწევს. უფრო მეტიც, შეიძლება ამ მხრივ საკლასო ოთახში ახსნილ გაკვეთილზე ეფექტური გამოვიდეს ეკრანის გაზიარებით, სწორად და კარგად შექმნილი სასწავლო რესურსით ახსნილი გაკვეთილი. მოსწავლის ყურადღება კონცენტრირდება ეკრანზე. ჩვეულებრივ რეჟიმში, მოსწავლეები აკვირდებიან ერთიმეორის მონიტორებს, სადაც ან ფოტო ჩანს თანაკლასელების, ან ის გარემო, სადაც ზის მოსწავლე, ან შეიძლება ეს იყოს თანაკლასელის მიერ არჩეული ფონი, ყველა შემთხვევაში ერთი რამ ფაქტია, მოსწავლეების ყურადღებას უნებურად თანაკლასელთა მონიტორები იქცევს და

ყურადღების მიღმა რჩება შესასწავლი თემა. გაზიარებული ეკრანით შესასწავლი თემის რესურსის ჩვენებით უნებურად ინტერესდება მოსწავლე საკითხით. ეკრანი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მოსწავლეზე, ნაწილი ეხმარება უკეთ გაიგოს წიგნში მოცემული ინფორმაცია და სწორად დაგეგმილი რესურსის ჩვენებით მოსწავლე უფრო მეტს ისწავლის, განსაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე, როდესაც მნიშვნელოვანია თვალსაჩინოებები. ასეთი რესურსების ჩვენებით იზრდება მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი, უფრო მეტად მოტივირებულნი არიან საგაკვეთილო პროცესში.

ასევე, თუკი მოსწავლეს აქვს პრეზენტაცია, პროექტი და სურს კლასის წინაშე წარსდგეს, მასწავლებელი მას მიაჩნებს უფლებას ეკრანის გასაზიარებლად. მოსწავლე გააზიარებს საკუთარ ეკრანს და წარმართავს პრეზენტაციას.

**საშინაო დავალება.** მასწავლებლისთვის, სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და შედეგზე ორიენტირებისათვის საშინაო დავალების გამჭვირვალე ინსტრუქციით მიცემა აუცილებელი პირობაა. დისტანციური სწავლებისას დავალების მისაცემად მასწავლებელს აქვს წვდომა გამოიყენოს თიმის კატეგორია დავალება, რომელიც მოიცავს: სათაური (ასახსნელი, შესასწავლი თემა), ინსტრუქცია, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ, რესურსი რაც დაკავშირებულია შესასწავლ საკითხთან, რესურსი შეიძლება იყოს ლინკი, აუდიო/ვიდეორესურსი, პრეზენტაცია, დავალების შესასრულებლად ვორდისა და პრეზენტაციის ფაილების შეთავაზება, არჩევანი დამოკიდებულია მასწავლებელზე. შეიძლება დოკუმენტი მოსწავლეებს ერთობლივი მუშაობისთვის შესთავაზოს ან ინდივიდუალური სამუშაოს შესაძლებლობა მისცეს, ან უბრალოდ დათვალიერების უფლებით. შეიძლება ტექსტური ფორმით მიაწოდოს დავალება. აქვე მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მიამაგროს შეფასების რუბრიკა და მიაჩნოს შესაბამისი ქულა. მასწავლებელი ირჩევს კონკრეტული დავალება ერთი ან რამოდენიმე მოსწავლითვის არის განკუთვნილი თუ მთელი კლასისთვის, ეს ფუნქცია მასწავლებელს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად შესთავაზოს კონკრეტულ მოსწავლეს მასზე მორგებული დავალება. განსაკუთრებით მაშინ როდესაც სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან უწევს მუშაობა, შესთავაზებს მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით შესასრულებელ

დავალებას. ბოლოს მასწავლებელი ირჩევს რიცხვსა და დროს, მოსწავლე კი ხედავს, რა დრომდე უნდა შეასრულოს და ჩააბაროს აღნიშნული დავალება. დავალება მოსწავლესთან შედის შეტყობინების სახით, ნებისმიერი სახის შეტყობინება მოსწავლესთან მიდის როგორც ელექტრონულ ფოსტაზე, ასევე თიქსში, შეტყობინებების კატეგორიაში.

მოსწავლის წინსვლა განვითარებისთვის კი შესრულებული დავალების სწორი უკუკავშირი მნიშვნელოვანია. დავალების უკუკავშირი დავალების ფორმატზეა დამოკიდებული. თუკი ვორდის დოკუმენტით ასრულებს მოსწავლე დავალებას, მასწავლებელი შედის თითოეული მოსწავლის ნაწერს ასწორებს და იქვე წერს განმავითარებელ კომენტარს. მასწავლებლის მიერ შესრულებული ჩასწორება კი აღინიშნება წითელი ფერით, მოსწავლე თვალნათლივ ხედავს თავის შეცდომას და მასწავლებლის კომენტარის გააზრებით აანალიზებს შედეგს. თუ კი დავალება გადმოგზავნილია ფოტოს სახით, მასწავლებელს ფოტოზე შეუძლია ჩაასწოროს, ამ შემთხვევაში მასწავლებელი ჯერ ჩამოტვირთავს ფოტოს, ხოლო შემდეგ რედაქტირებით ასწორებს და უგზავნის მოსწავლეს, ან იქვე ფოტოს გვერდით აკეთებს კომენტარს სწორსა და არასწორ პასუხებზე. ხოლო ტესტებში მიღებულ ქულას მოსწავლე შესრულებისთანავე ხედავს. დისტანციური სწავლებისას მოსწავლეთა შეფასება მთლიანად გადავიდა ელექტრონულ შეფასებაზე. ელექტრონული ჟურნალის წარმოება საპილოტე სკოლებში ხდებოდა, მაგრამ დისტანციურზე გადასვლამ დააჩქარა სხვა სკოლების ჩართულობაც. მასწავლებლის მუშაობის გამარტივების მიზნით, Teams-ში არის ჩაშენებული ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმოს შემაჯამებელი გაკვეთილი. მასწავლებელს შეუძლია დავალება ჩაუნიშნოს ჟურნალში, მიამაგროს ფაილი, ხოლო მოსწავლის ნაწერს იქვე გაუკეთოს განმავითარებელი კომენტარი და დაუწეროს შესაბამისი ქულა. დაწერილი აღნიშნული ქულა ავტომატურად გადადის ჟურნალში, როგორც საშინაო დავალების შეფასება. ხდება დასწრების აღრიცხვა, ხოლო გაკვეთილის ცხრილი ავტომატურად იტვირთება სკოლის ბაზის შესაბამისად. ელექტრონული ჟურნალის ერთ-ერთი უპირატესობა მასწავლებლის გამარტივებული მუშაობაა, მასწავლებელს აღარ სჭირდება

ქულების დათვლა-დაჯამება, ავტომატურად იწერება სემესტრის ნიშანი და გაცდენების რაოდენობა, დამრიგებელი მარტივად აკონტროლებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის შედეგს, ამის გაკეთება მასწავლებელს ნებისმიერ დროს შეუძლია, არ არის საჭირო გაკვეთილების შემდეგ დარჩეს სკოლაში რათა გადახედოს ჟურნალს, ეს სახლში დასვენების შემდეგ შეუძლია, ან თუნდაც გვიან ღამეში. მეორე უპირატესობად მიმაჩნია ის რომ მშობელი თვალყურს ადევნებს შვილის შეფასებებს, როგორც ადრე ხდებოდა გარკვეული დროის შემდეგ აღმოაჩენდა მშობელი, რომ შვილს გაცილებით დაბალი შეფასება ჰქონია, ვიდრე მისი მოლოდინები იყო, ნიშნის შესაბამისად აკონტროლებს შვილის სწავლის პროცესს, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში საყურადღებოა მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლისთვის. ზოგიერთი მოსწავლე ნიჭიერი მაგრამ ზარმაცია, სწორედ მშობლის კონტროლს შეუძლია ასეთი მოსწავლის წარმატება.

**Teams-ის სასაუბრო, როგორც კომუნიკაციის შესაძლებლობა დისტანციური სწავლებისას.** სასაუბროს გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროს გაკვეთილის მიმდინარეობის პარალელურადაც, ვთქვათ მოსწავლეებმა გამოთქვან მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე, დაახასიათონ პერსონაჟი, აღწერონ მოვლენა... მოსწავლეები შეხედულებებს წერენ სასაუბროში, ეს მიწერ-მოწერაც ჩანაწერთან ერთად ინახება, მოსწავლეს შეუძლია შეხვედრის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ წაიკითხოს თითოეული მოსწავლის მოსაზრება, ეს გარკვეულწილად ეხმარება მას საკითხის გაგებაში და გაუმარტივდება დავალების შესრულება. ასევე სასაუბროს დადებით მხარედ მიიჩნევა ის რომ დიდ ჯგუფთან მუშაობის დროს ყველას მიეცემა საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება. როდესაც მასწავლებელი ინფორმაციას აწვდის, ან გაფრთხილების მიზნით წერს რაიმე ტექსტს, პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი შრიფტითა და ფერით დაწეროს და ისე გაუგზავნოს. გახაზოს ნაწერში მნიშვნელოვანი, შეუცვალოს ფერი ნაწერს ან დაუსვას გამაფრთხილებელი ნიშანი. გარდა ამისა მოსწავლეები სასაუბროს საშუალებით ურთიერთობენ. აქვთ უფლება შექმნან სასაუბრო ჯგუფი და ის მოსწავლეები გაერთიანდნენ, რომლებიც მეგობრობენ. ისინი ურთიერთობენ მიმოწერით, აუდიო ან ვიდეოკომუნიკაციით, ემოციებს გამოთქვამენ.

განიხილავენ, გაანალიზებენ წაკითხულ წიგნს, იმსჯელებენ პერსონაჟთა ხასიათზე, თვისებებზე. საუბრობენ საკუთარ ინტერესებსა და მიდრეკილებებზე, ურთიერთობენ სულიერად და ეს სულიერი ურთიერთობა მათი ხასიათის ფორმირებისთვის ხელშემწყობია.

**შეხვედრის დაგეგმვა-ორგანიზება, როგორც დისტანციური სწავლების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი.** მასწავლებლისათვის კალენდარი ერთ-ერთი აუცილებელი კატეგორიაა დისტანციური სწავლების გასამარტივებლად, კალენდარში შეიძლება ერთხელ ატვირთული ცხრილით მთელი სასწავლო წელი იმუშაოს პედაგოგმა, კალენდარით გარდა გეგმიური გაკვეთილებისა კლასგარეშე შეხვედრების ჩანიშვნაც შესაძლებელია. თავდაპირველად მასწავლებელი ხსნის თიმის კალენდარს, ირჩევს დამატების ფუნქციას, რომელიც გულისხმობს შემდეგ მონაცემებს. შეხვედრის სათაური, აუცილებელ მონაწილეთა დამატება, რიცხვისა და დროის არჩევა, შეხვედრის ხანგრძლივობის განსაზღვრა. ხდება გამოერების არჩევა, ეს შეხვედრა არ განმეორდეს, განმეორდეს ყოველ სამუშაო დღეს, განმეორდეს კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ ან ყოველ წელში ერთხელ. ასევე შესაძლებელია შეხვედრის მიზნის აღწერა დაერთოს თან, აქვე მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა შეიმუშაოს ქცევის წესები, რომლებსაც მონაწილეები შეხვედრის დაწყებამდე გაეცნობიან, ეს სურვილისამებრ, აირჩევა შესაბამისი კლასი ან ჯგუფი და მიენიჭება შენახვა. შეტყობინება მიდის შესაბამის სამუშაო ჯგუფთან.

გაკვეთილის მიმდინარეობისას მასწავლებელი ხედავს დისკუსიაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეებს, რომლებიც იყენებენ ხელის აწევის ფუნქციას, ხელაწეული მოსწავლის მონიტორი ყვითლდება და მასწავლებელი უცებ აფიქსირებს რომელი მოსწავლეა.

გაკვეთილის მიმდინარეობისას შესაძლებელია გაკვეთილის ჩაწერა, ამის შესახებ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მოსწავლეები, თანხმობის შემთხვევაში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის ჩანაწერს. ჩანაწერის გაჩერებისთანავე ავტომატურად ინახება ვიდეოს სახით იმავე კლასში. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თუ რაიმე ბუნდოვანი დარჩა, ასეთ შემთხვევაში ჩართოს და მოუსმინოს ვიდეოს, ხოლო მასწავლებელი



აკვირდება საკუთარ გაკვეთილს, აანალიზებს შედეგს, რამდენად სწორად დაგეგმა და წარმართა გაკვეთილი, მიაღწია თუ არა მიზანს, და ნაკლოვანებებზე დაკვირვებით გეგმავს შემდეგ დისტანციურ გაკვეთილს. გარკვეული დროის შემდეგ კი ვიდეო ავტომატურად იშლება. როცა არის ვიდეოს შენახვის სურვილი, მაშინ ხდება ვიდეოს გადმოწერა მოწყობილობაში. თუკი არის მოსწავლეთა თანხმობა და მასწავლებელს სურს თავისი გაკვეთილის ჩანაწერი სხვა მასწავლებლებმა ნახონ, ანუ გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სხვას, იყენებს ჩანაწერის გაზიარებას და ვიდეო იტვირთება Stream-ში. ნებისმიერ დაინტერესებულ მასწავლებელს შეუძლია ნახოს ეს ვიდეოჩანაწერი.

რესურსის სწორად შექმნას და მოძიებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დისტანციური სწავლების დროს. რესურსის მოძიებას მასწავლებელს უმარტივეს პროგრამა თიმსი, რომელსაც აქვს სასაუბროსა და კლასებში ჩაშენებული ინტერნეტ საძიებო, სადაც იუთუბზე ატვირთულის ნახვა და ჩვენება შეიძლება, ან პრეზენტაციების, საშინაო სკოლის ვიდეოების, ან თუნდაც ტელესკოლის გაკვეთილის განხილვა . მასწავლებელს გარდა წინასწარ შექმნილი რესურსებისა ესაჭიროება ცოცხლად მიმდინარე პროცესი, ახსნა-ჩვენება, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თიმსის თეთრი დაფა. დაბეჭდოს, დახაზოს, აჩვენოს მოსწავლეებს, ხოლო თუკი მასწავლებელს აინტერესებს, რა როგორ გაიგეს მოსწავლეებმა და უნდა შეაჯამოს გაკვეთილი, მოსწავლეებს მისცეს დაფაზე მუშაობის საშუალებას. დაფაზე შესაძლებელია როგორც ბეჭდვა, ასევე ფანქრის გამოყენებაც. მაგ. შეგვიძლია ზმნა კონკრეტულად ავუხსნათ მოსწავლეებს. დაფაზე დავწეროთ წინადადება და ფანქრით გავხაზოთ ზმნები. მოსწავლე თვალსაჩინოდ ხედავს თუ რისი თქმა სურს მასწავლებელს.

თითოეული სამუშაო ჯგუფის ფაილები, ყველა ერთად ინახება ჯგუფის საქალაქდებში, რომელთა ნახვის, გადმოტვირთვისა და გამოყენების საშუალება აქვთ მასწავლებელსა და მოსწავლეებს. მოსწავლე ვერ ხედავს სხვების გამოგზავნილი ფაილებს, თუმცა მასწავლებელი ათვალთვინებს ყველას. ეს შესაძლებელს ხდის დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, ზოგიერთ მოსწავლეს არ სურს საკუთარი ნაწერის გაზიარება სხვებისთვის და შესაბამისად დავალების ჩასაბარებლად იყენებს არა ჯგუფს, არამედ

სასაუბროს და მასწავლებელს პირადში აბარებს, მოსწავლეს არა აქვს შიში, ის ლაღი და მშვიდია, რადგან იცის, რომ მის დავალებას მხოლოდ მასწავლებელი ნახავს და ყოველგვარი უკუკავშირისთვის მზად არის, მას არა აქვს ფიქრი იმისა რომ თანატოლთა წინაშე შერცხვება, იქნებ დავალება არ არის შესრულებლი სწორად? არსებობს კატეგორია დავალებებისა სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეხედულებები, ასეთ ვითარებაში სხვების აზრის გაზიარება არსებითად მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისათვის. გარდა იმისა რომ დააფიქსირა საკუთარი შეხედულება, მნიშვნელოვანია სხვების მოსაზრების მოსმენაც, ამიტომ დავალების ინდივიდუალურად მასწავლებლისთვის ჩაბარება ამ პროცესს აფერხებს.

ვინაიდან დისტანციური სწავლება მასწავლებლისაგან მოითხოვს აქტიურად შექმნას და გამოიყენოს ელექტრონული რესურსები, საამისოდ მას ეძლევა შესაძლებლობა, ერთ სივრცეში მოათავსოს ყოველივე. შექმნას ელექტრონული ბლოკნოტი, დაამატოს კატეგორიები მაგ, პრეზენტაცია, ფოტო, ვიდეო, აუდიო და შესაბამისად განათავსოს ინფორმაცია, მასწავლებელს შეუძლია გააზიაროს ან კონკრეტულ მოსწავლეს გაუგზავნოს ესა თუ ის მასალა ელექტრონული ბლოკნოტიდან. ასევე მასწავლებელი ქმნის კლასის ბლოკნოტს, დაამატებს მოსწავლეებს, მოსწავლეს აქვს საკუთარი გვერდი. გარდა ფაილებისა, კლასის ბლოკნოტში აისახება დისტანციური სწავლებისას მიღებული შეფასებები და დავალების ჩაბარების სტატისტიკა.

ახალი მასალის ახსნისას მასწავლებლის მიზანია სათქმელი მიიტანოს მოსწავლემდე. დისტანციური სწავლებისას მასწავლებელს აქვს უფლება, დაუდუმოს მიკროფონები თითოეულს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ჩართვა, დადუმებული ხმების რეჟიმი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მშვიდ გარემოში შესთავაზოს მოსწავლეებს ის ინფორმაცია, რისი გაცნობაც სურს და მხოლოდ სადისკუსიოდ შემოუერთდებიან მოსწავლეები მას. აქ არ უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე რომ მოსწავლეები არ მოუსმენენ მასწავლებელს, იხმაურებენ, ისაუბრებენ, აქ საუბარია იმაზე რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაუთვალისწინებელ ვიზიტებს მოსწავლეთა ოჯახებში და უნებურად გამოწვეულ ხმაურს.

დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია მონაწილე მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, ამ მხრივ თიმის პლატფორმა მასწავლებელს ეხმარება ჩამოტვირთოს შეხვედრაზე დამსწრეთა სია, სადაც კონკრეტულად არის მოცემული რომელი მოსწავლე რა დროის მონაკვეთში ესწრებოდა გაკვეთილს.

გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობას ადგენს პლატფორმის სტატისტიკა, რომელიც მასწავლებელს ეხმარება გაანალიზოს მოსწავლეთა ჩართულობა.

მასწავლებელი ხშირად აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში რომ მისთვის კლასის საერთო აზრის გაგება ამა თუ იმ საკითხზე მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით კი დისტანციური სწავლებისას. მასწავლებელს გამოკითხვის ჩატარებაში ეხმარება თიმში ჩაშენებული გამოკითხვა, მასწავლებელი შეადგენს კითხვას, დაურთავს სავარაუდო პასუხებს, მას აქვს უფლება აირჩიოს გაზიარდეს თუ არა მონაცემები და დარჩეს თუ არა ანონიმურად. იწერება პასუხები და სტატისტიკა აჩვენებს კლასის საერთო აზრს კონკრეტულ საკითხზე.

თიმში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამების დამატება, რომლის საშუალებასაც თავად პროგრამა იძლევა, მასწავლებელი საკუთარი სურვილით ირჩევს და ამატებს იმ პროგრამას თიმში სამუშაოდ, რომელიც მას სწავლებისას გამოადგება. ამ პლატფორმის გამოყენებითა და სწორად დაგეგმილი გაკვეთილით შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგზე გასვლა.

შესაძლებელია მასწავლებელმა სხვადასხვა საიტის ლინკით წარმართოს ვიქტორინა, შესთავაზოს მოსწავლეებს ტესტი, შემეცნებითი, საგანმანათლებლო თამაშები, ანუ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა საიტების გამოყენებით ნებისმიერი პლატფორმა, მიუხედავად პლატფორმის შესაძლებლობებისა, უფრო მრავალფეროვანი გახადოს.

## §2. ონლაინ სასწავლო პლატფორმები

დისტანციური მუშაობის წარმართვისთვის გამოიყენება სხვადასხვა პლატფორმა, პლატფორმების გამოყენება კერძო სკოლებსა და სასწავლებლებში ინდივიდუალურია, სარგებლობენ იმ პლატფორმით, რომლის გამოყენებასაც მიაჩნებენ უპირატესობას.

**Zoom** - ონლაინ პლატფორმა დისტანციური სწავლებისა თუ ონლაინ კონფერენციებისა და ვებინარების ჩასატარებლად. დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად შესაძლებლობა ეძლევა წინასწარ დაგეგმოს შეხვედრა, სადაც მითითებული იქნება ჩატარების დრო, ლინკს გაუზიაროს მსმენელებს დახურულ ჯგუფში ან გამოაქვეყნებს ღია ჯგუფებში, მსმენელს ლინკის საშუალებით შეუძლია შეუერთდეს აღნიშნულ შეხვედრას. აქ მასწავლებელს შეუძლია აკონტროლოს შემომსვლელი, ან მიაჩიოს უფლება ნებისმიერ მსურველს დასწრებისა. გარდა ლინკით მსმენელთა მოწვევისა მასწავლებელი ქმნის კლასს და აერთიანებს ზუმში რეგისტრირებულ მოსწავლეებს, მასწავლებლის მიერ ვიდეოზარის წამოწყებით მოსწავლეები მარტივად შემოუერთდებიან შეხვედრას. მასწავლებელს გაკვეთილის ასახსნელად აქვს შესაძლებლობა გააზიაროს ეკრანი, აუხსნას, აჩვენოს შესასწავლი მასალის რესურსები, ვიდეოები ან მოსწავლეს მიაჩიოს გაზიარების უფლება. ეკრანის გაზიარებით როგორც მასწავლებელს/ორგანიზატორს ასევე მოსწავლეებს/მსმენელებს საშუალება ეძლევათ გაუზიარონ სხვებს ის ვიდეომასალა, ან პრეზენტაცია რისი ჩვენებაც სურთ მათ. გარდა რესურსების გაზიარებისა მასწავლებელს საშუალება აქვს გაკვეთილის ასახსნელად გამოიყენოს ფანქარი, ამ დროს აზიარებს თეთრ ფურცელს, რომელსაც აქვს ფანქარი და საშლელი სამუშაოდ, რომელთა გამოყენება მოსწავლეებსაც შეუძლიათ. ამ ფუნქციის დადებითი მხარე, რომ შესაძლებლობას იძლევა თვალსაჩინოდ შესრულდეს ესა თუ ის სავარჯიშო, ამავდროულად მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ერთგვარი კონსპექტი, სამუშაო ფურცელზე შესრულებულის შენახვა შესაძლებელია, რომელიც ქმნის მოსწავლის/მსმენელის ბიბლიოთეკას. რესურსების მარტივად მოსაძიებლად პროგრამას ჩაშენებული აქვს იუთუბი, რომლის დახმარებითაც იქვე შეიძლება, შეხვედრის პარალელურად მოიძიოს მასწავლებელმა იუთუბიში შესაბამისი რესურსი გასაზიარებლად პლატფორმა საშუალებას იძლევა შეხვედრის პარალელურად,

სასაუბროს გამოყენებით ყველა დამსწრემ გამოთქვას საკუთარი აზრი წერილობით. ასევე მონაწილეს შეუძლია ჩართოს ან გამორთოს მიკროფონი და კამერა. საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად მოსწავლეს შეუძლია აილოს ხელი, მასწავლებელი/ორგანიზატორი მარტივად ხედავს ადებულ ხელს და უსმენს მას.

ზუმით, გარდა ოფიციალური კონფერენციურობისა, შესაძლებელია სასაუბრო ჯგუფის შექმნა, წერილობითი კომუნიკაცია, ვიდეოზარის განხორციელება, სხვადასხვა ფაილების გაგზავნა მიღება, ფოტო, ვიდეო, აუდიო, დოკუმენტები.

**Google Meet-** პროგრამა, ონლაინტრენინგების, ვებინარებისა და კონფერენციებისათვის დაემატა ელექტრონულ ფოსტას gmail-ს, Meet- პროგრამა შეხვედრაზე ჩართვის მოწვევასა და დასწრების ნებას აკონტროლებს ორგანიზატორი. შეხვედრის პარალელურად შესაძლებელია სასაუბროს საშუალებით ყველა მონაწილემ გამოთქვას საკუთარი აზრი. პროგრამას აქვს ეკრანის გაზიარების ფუნქცია როგორც ორგანიზატორს, ასევე მონაწილესაც. ამ პროგრამის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც ნებისმიერი დისტანციური სწავლებისას მნიშვნელოვანია, არის ის რომ, მონაწილეთა შემოსვლისა და პროგრამიდან გასვლის ინფორმაცია ონლაინრეჟიმში ეწერება ეკრანზე და არათუ ორგანიზატორს, არამედ მონაწილეებსაც შეუძლიათ თვალყური ადევნონ ვინ შემოდის შეხვედრაზე და ვინ გადის შეხვედრიდან.

**Skype** – ით მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს დისტანციური გაკვეთილები. ან ჩატარდეს ონლაინტრენინგები, ვიდეოკონფერენციები, ვებინარები, ლექცია-სემინარები. გაკვეთილის სკაიპით ჩასატარებლად მასწავლებელს შეუძლია შექმნას ჯგუფი, გააერთიანოს მოსწავლეები, ისინი რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ პროგრამაში. დაგეგმოს შეხვედრა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სათაური, ჩატარების თარიღი, დრო და შეხვედრის ხანგრძლივობა. შეტყობინება ინახება ჯგუფში. გაკვეთილის ახსნისას გამოიყენოს ეკრანის გაზიარება და გაკვეთილი თვალსაჩინო გახადოს, გაკვეთილი ახსნას პრეზენტაციით, ან აჩვენოს ანიმაცია, ვიდეო ან სხვა ნებისმიერი ელექტრონული რესურსი. პროგრამა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ჩაწეროს გაკვეთილის მსვლელობა, ჩაწერის დაპაუზებისთანავე ჩანაწერი ვიდეოს სახით ინახება ჯგუფში. ჩანაწერის ნახვით მასწავლებელი დააკვირდება, რამდენად სწორად

დაგეგმილი და შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილი ჩატარდა, ხოლო მოსწავლეები მოუსმენენ და გაიმეორებენ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას. მონაწილეს საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად საშუალება აქვს აიღოს ხელი, ხელის ადების ფუნქცია მასწავლებელს ეხმარება თვალი ადევნოს დისკუსიაში მონაწილეობის მსურველებს.

Skype საშუალებას იძლევა მსმენელებთან გაზიარდეს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები: ვიდეო, ფოტო, საქაღალდე, სამუშაო ფურცლები და სხვა, პროგრამა თავის საცავში ინახავს ჯგუფში გამოყენებულ ყველა დოკუმენტს, რომლის ნახვა და გაზიარება ნებისმიერ დროს შეუძლია მასწავლებელს, გაკვეთილის ფორმატიდან გამომდინარე მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი ერთობლივი მუშაობისთვის, სადაც მოსწავლეები ქმნიან დავალებას ერთდროულად, ვინ რას და როგორ წერს თვალნათლივ აისახება ნაშრომზე. დისტანციური სწავლებისას მასწავლებლის წინაშე დგება არაერთი საკითხი, რომელზეც აინტერესებს ჯგუფის წევრების აზრი, მასწავლებელს შეუძლია გამოკითხვის მოწყობა, დაგეგმავს გამოკითხვას, დასვამს კითხვას და მიუთითებს სავარაუდო პასუხებს, მიუთითებს გამოკითხვის დასრულების დროს. ხოლო სტატისტიკა ყოველი ხმის მიცემისას აისახება.

**Messenger** – ის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შექმნას კლასი, გააერთიანოს მესენჯერში რეგისტრირებული მოსწავლეები, განახორციელოს ვიდეოზარი, გაკვეთილის ჩასატარებლად მასწავლებელს საშუალება ეძლევა გააზიაროს ეკრანი და ეკრანის საშუალებით აჩვენოს ის რესურსები თუ დოკუმენტები, რისი ჩვენებაც სურს მას. გარდა ამისა მესენჯერით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაგზავნა, საიტების ლინკების ჩასმა.

**Instagram**-საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შექმნას ჯგუფი, განახორციელოს ვიდეოზარი, გააზიაროს ეკრანი და ეკრანის საშუალებით აუხსნას გაკვეთილი, გარდა ამისა ინსტაგრამის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაგზავნა, ფოტო, ვიდეო მასალის მიწოდება, შესაძლებელია ლინკის გაზიარებაც.

**Edmodo** - ასინქრონული სწავლება მასწავლებლისაგან უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს, საკითხის ახსნა, გაგება, შეჯამება, შეფასება ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებლად სწავლა, მიწოდებული რესურსი უნდა

უზრუნველყოფდეს საკითხის გასასგებად მთავარ, საკვანძო სახითხების ცოდნა-გაგებას. პროგრამის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შექმნას კლასი, გააერთიანოს ედმოდოზე რეგისტრირებული მოსწავლეები, მიაწოდოს ასახსნელი გაკვეთილი რესურსის გამოყენებით, რესურსი შეიძლება იყოს ვორდის დოკუმენტი, პრეზენტაცია, სხვადასხვა სახის საქალაქ ან სამუშაო ფურცელი, შესაძლებელია მასწავლებელმა შექმნას ვიდეოგაკვეთილი, გარდა ამისა შესაძლებლობას იძლევა მასწავლებელმა იქვე, მარტივად ჩასვას ლინკი. მასწავლებელი მიუთითებს გაკვეთილის ჩაბარების რიცხვს, აღნიშნული გაკვეთილი შეტყობინებად ფიქსირდება მოსწავლესთან, რომელსაც აქვს ინფორმაცია, რა უნდა გააკეთოს და რა დროის მონაკვეთში. მასწავლებელს შეუძლია მისცეს საშინაო დავალება, შეადგინოს მრავალფეროვანი ტესტები. მასწავლებლის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი გაკვეთილი/დავალება აისახება კალენდარში. სადაც მითითებულია შესრულების დრო. კალენდარი საშუალებას იძლევა მასწავლებელმა დაგეგმოს ღონისძიება, შექმნას დავალება, დღის წესრიგი, ან კვირის განრიგი ჩაინიშნოს. პროგრამაში შექმნილი ნებისმიერი რესურსი ინახება პროგრამის ბიბლიოთეკაში, ხოლო ტესტები ცალკე ინახება, მასწავლებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი გამოყენება, ასევე მასწავლებელს საკუთარი მეილის საცავიდან შეუძლია მარტივად ჩასვას და გამოიყენოს ნებისმიერი სახის ელექტრონული რესურსი. ეს პროგრამა უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების ასინქრონული მოდელით სწავლებას.

	ვირტუალური კლასი																		
	დავალების მიწოდება																		
	სასაუბრო, მომენტალური უკუკავშირი																		
	კალენდარი, დროის მართვა																		
	შეხვედრების ორგანიზება																		
	კვანის გაზიარება, პრეზენტაცია																		
	განმავითარებელი შეფასება																		
	განმსაზღვრელი შეფასება																		
	ცოდნა-უნარების განვითარების დინამიკა																		
	პორტფოლიო																		
	ორმხრივი მიმოწერის დღიური																		
	ხელის აწევა,																		
	დაფა, ერთ სივრცეში მუშაობა																		
	გამოკითხვა																		
Teams																			
zoom																			
mesenger																			
instagram																			
skype																			
edmodo																			
Google meet																			



### §3. ონლაინპროგრამები განათლების ხარისხის ამაღლებისთვის

მასწავლებელმა რომ მიიტანოს მოსწავლეებთან ის, რისი სწავლებაც სურს, მხოლოდ პლატფორმის გამოყენებით ერთფეროვანი და ნაკლებად საინტერესო გაკვეთილები გამოვა. სხვადასხვა პროგრამების ჩაშენებით პლატფორმა შეიძენს მეტ შესაძლებლობებს, მასწავლებელს გაუადვილდება მოკლე დროში მოსწავლეს მიაწოდოს საკითხი ისე, რომ ბუნდოვანი არაფერი არ დარჩეს, პირიქით, მრავალფეროვანი აქტივობებით შეიძლება მოსწავლის დაინტერესება მანამდე მისთვის უინტერესო საკითხისადმი. სწორედ პლატფორმაში ჩაშენებული პროგრამები განუვითარებს მოსწავლეებს სააზროვნო უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, ლოგიკური მსჯელობის უნარს, შემოქმედებითობას... როდესაც მოსწავლემ უნდა დააფიქსიროს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხისადმი წერილობით, ბეჭდვით, მაგ. ელექტრონული დაფა Padlet-ის გამოყენებით. მოსწავლე ცდილობს დააფიქსიროს საკუთარი აზრი, რათა სხვებს არ ჩამორჩეს და იქვე თანაკლასელთა შეხედულებებს იზიარებს, კითხულობს, ვინ რა დაწერა, შეიძლება შეცვალოს საკუთარი შეხედულება, თანაკლასელთა ნააზრევს შორის იპოვოს ჭეშმარიტება. დასწრებული სწავლებისას მორცხვი მოსწავლე ფიქრობს მცდარი არ იყოს მისი აზრი, ამიტომ ჩუმად ყოფნას ირჩევს. დისტანციური მუშაობისას padlet მორცხვ მოსწავლეებს მატებს სითამამეს, რადგან არ ფიქსირდება, ვინ რა დაწერა, ავტორს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მიუთითოს ვინაობა, ამას კი, ძირითადად, გამბედავი, თამამი, აქტიური მოსწავლეები აკეთებენ. ხოლო მორცხვი მოსწავლე საკუთარ აზრს აყალიბებს მშვიდად, იმაზე ფიქრით, რომ მისი ნაწერი ანონიმურია. დააფიქსირა საკუთარი შეხედულება, გაიაზრა სხვისი მსჯელობა. ასეთი მუშაობით მოსწავლე სწავლობს ფიქრს, უვითარდება ლოგიკური მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება...

როდესაც ესე ან რაიმე თემაა დასაწერი, ზოგჯერ უფროსებსაც კი სჭირდება დაფიქრება „როგორ დაიწყოს წერა“, ზოგიერთი მოსწავლისთვის ეს წამებში მისაღები გადაწყვეტილებაა, უცებ ებადება აზრი და წერის პროცესიც იწყება, მაგრამ ზოგიერთი ფიქრობს დიდხანს, დასწრებული სწავლებისას მასწავლებელი ამჩნევს და აძლევს სწორ მიმართულებას, მინიშნებებს, თუ როგორ დაიწყოს, ხოლო დისტანციური სწავლებისას

მასწავლებელი ერთობლივი მუშაობისთვის მიაწვდის word-ის ან PowerPoint-ის სამუშაო ფურცლებს. მოსწავლე აკვირდება სხვების ნაწერებს და უნებურად გაიაზრებს რა როგორ უნდა დაწეროს.

**PowerPoint** - იმისათვის, რომ მასწავლებელი შემოქმედებითად მიუდგეს საკითხს, გაკვეთილის ასახსნელად შექმნას სახალისო, საინტერესო რესურსი, ანიმაცია, სქემები, ნახაზები, ნახატები. ან შეაჯამოს გაკვეთილი. პრეზენტაცია მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვის საშუალებას იძლევა: გრამატიკული საკითხები, ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა, პერსონაჟთა დახასიათება, სიტყვათა განმარტება, პერსონაჟთა იმიტირებული დიალოგები, შემეცნებითი კომიქსები. პრეზენტაცია გაკვეთილის ახსნასთან და საკითხის სიღრმისეულ წვდომასთან ერთად მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებაცაა. PowerPoint-ი მოსწავლეთა უნარების, მათი შემოქმედებითი ნიჭის განვითარების ხელშემწყობია, როდესაც მოსწავლეები დავალებას ქმნიან PowerPoint-ში, სწავლობენ ცოდნის გამოყენებას, სიღრმისეული წვდომა აქვთ საკითხისადმი, ისინი ინდივიდუალურად ან ერთად ასრულებენ დავალებას, ერთობლივი მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ თანამშრომლობის უნარი. მოსწავლე PowerPoint-ში ქმნის ანიმაციებს, მას აძლევს შესაბამის მოძრაობებს, უთითებს შესაბამის დროს, ყოველივე ეს მოსწავლეს უვითარებს ფიქრის უნარს, ის მსჯელობს, რა როგორ გააკეთოს და როგორ იქნება უკეთესი, ქმნის სხვადასხვა დიზაინს, ეპიზოდის შესაბამის ნახატს და იზრდება შემოქმედებითად. მასწავლებელს შეუძლია PowerPoint-ის საშუალებით მოაწყოს კონკურსები, შეჯიბრებები, ვიქტორინები, გამოფენები...

**Word-** დავალების შექმნის, შესრულებისა და უკუკავშირისთვის ხელსაყრელი დოკუმენტია, რომელზე მუშაობაც შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. იმის გათვალისწინებით თუ რა სახისაა დავალება მასწავლებელი მოსწავლეებს შესაბამისი ფორმით აწვდის. Word-ი არის ყველაზე ხელსაყრელი სამუშაო ფურცელი, სადაც თემატიკიდან გამომდინარე შესაძლებელია სქემების ნახაზების, ნახატების ჩასმა, სხვადასხვა ფიგურების გამოყენება. სურვილის შემთხვევაში

მასწავლებელი გააფორმებს ფურცელს, ფურცლის დიზაინი სახალისოს ხდის შესასრულებელ სავარჯიშოებს, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა განწყობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მათი წინსვლისთვის. რამდენადაც კარგი განწყობა აქვთ მოსწავლეებს იმდენად მაღალია მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. ვორდით შესაძლებელია ფერადი და სახალისო დავალებების შეთავაზება მოსწავლისთვის.

**Microsoft Forms** - გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტების შესაქმნელად. ეპიზოდის დალაგება ერთ-ერთი აქტივობაა ტექსტის გაგება-გააზრებისა და ლოგიკური კავშირის ჯაჭვის შესაქმნელად. მასწავლებელს საშუალება აქვს ეპიზოდის დალაგება ტესტურად შესთავაზოს მოსწავლეებს, ასევე forms -ით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ტესტის შექმნა, ღია ტესტები, დახურული კითხვები, გამოტოვებულის შევსება, შესაბამისობის პოვნა, რეიტინგი. მრავალფეროვანი ტესტები მოსწავლეთა უნარის განვითარების ხელშემწყობია, forms-ით შესაძლებელია ღია კითხვის შეთავაზება მოსწავლისათვის, რომელზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს აქვს არჩევანის უფლება პასუხი ატვირთოს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტის სახით: Word, PDF, Excel, PPT, Image, Video , Audio. Forms-ით შესაძლებელია გამოკითხვაც. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ტესტის დაწყებისა და დასრულების დრო. ტესტის შექმნის პარალელურად მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს განსაზღვროს უკუკავშირი, ტესტს მიაკუთვნოს განმსაზღვრელი შეფასება, კონკრეტული ქულა, ან განმავითარებელი კომენტარი, რომელიც აისახება სწორი ან არასწორი პასუხის მონიშვნისთანავე. პროგრამა საერთო ანალიზს აკეთებს ტესტისას, აანალიზებს როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე საერთო საკლასო შედეგს, აისახება ტესტის შესრულების დრო, მასწავლებელს შეუძლია ჩამოტვირთოს და შეინახოს შედეგები.

**learningapps.org**- მარტივი და მოქნილი სერვისი რესურსების შესაქმნელად. აქ შესაძლებელია მასწავლებელმა შექმნას ვირტუალური კლასები, მოსწავლეებს მისცეს დავალებები და აკონტროლოს შედეგები. მხოლოდ არჩევითპასუხიანი ტესტების შექმნა და გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უნარების განვითარებას. მასწავლებელს მრავალფეროვანი რესურსების, აქტივობების შექმნა და გამოყენება შეუძლია გაკვეთილის ახსნა, შეჯამება, შეფასებისთვის. Learningapps-ში შესაძლებელია

კროსვორდების შედგენა, მარკირება ფოტოზე ან რუკაზე, ვიქტორინა-არჩევითპასუხიანი ტესტი, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა ტექსტში, შესაბამისობის დადგენა (ნახატსა და ნახატს შორის, ან ნახატსა და სიტყვას შორის), ფაზლების ამოცნობა, აწყობა, ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება, განლაგება დროის ხაზზე. მასწავლებელს შეუძლია საკუთარი რესურსი სხვებს გაუზიაროს ან მხოლოდ საკუთარი გამოყენებისთვის შექმნას, საჯარო რესურსის გამოყენება ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია. ასევე შესაძლებელია უკვე შექმნილი რესურსებიც გამოყენებაც. მუშაობის გასამარტივებლად მასწავლებელს შეუძლია შექმნას გარკვეული რაოდენობის საქალაქური და რესურსები შესაბამისად დაახარისხოს.

**Quizizz.com-** შესაძლებელია ვირტუალური კლასების შექმნა, მოსწავლეთა გაერთიანება, ასევე მოსწავლეთა მშობლების დამატებაც, რომლებიც თვალყურს ადევნებენ შვილების სასწავლო განრიგს. მასწავლებელს შეუძლია ასინქრონული გაკვეთილის ჩატარება. მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს კარგად დაგეგმოს გაკვეთილი, გამოიყენოს აუდიო/ვიდეო, ფოტო მასალა ან ტექსტი. სათაურის შემდეგ შესაძლებელია სლაიდს გაუკეთოს ილუსტრაცია, ასევე შეიძლება სლაიდზე აიტვირთოს თემატიკიდან გამომდინარე სურათები, ვიდეო, აუდიო ან ტექსტი. იქვე თან დაურთოს სხვადასხვა ტიპის ტესტი, არჩევითპასუხიანი, ღიადაბოლოებით, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა. უკვე მზა გაკვეთილის სლაიდს მასწავლებელი მისცემს მოსწავლეებს ასინქრონულად, განსაზღვრავს დროს. მიაწვდის გარკვეული სახის ინსტრუქციას თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა. პროგრამა აანალიზებს შედეგებს, რომლის ჩამოტვირთვა შენახვაც შესაძლებელია. ხოლო პროგრამას გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ინახება ნებისმიერი შექმნილი რესურსი თუ ვიქტორინა-ტესტები, ტესტის შესრულება მოსწავლეებს შეუძლიათ, როგორც პირდაპირი ჩართვით, ასევე ასინქრონულად, როცა შეასრულებენ, ტესტების მიმდინარეობა მოსწავლეთა მოტივირებას იწვევს, მოსწავლე არ არის შეზღუდული დროში, ასრულებს დავალებას და აკვირდება საკუთარ შედეგს, პირდაპირი თამაშით ტესტის შესრულებისას მოსწავლე აკვირდება საკუთარ რეიტინგს თანაკლასელთა შორის, ხოლო, ტესტის ასინქრონულად შესრულებისას ის აკვირდება მხოლოდ საკუთარ შედეგს. მასწავლებელს შეუძლია ჩვეულებრივ დასწრებული

სწავლების დროსაც კი გამოიყენოს შემაჯამებელი გაკვეთილის ჩასატარებლად, ან დაბეჭდოს ტესტი და მატერიალური რესურსი მიაწოდოს მოსწავლეებს. ონლაინჩატარებულ შემაჯამებელ დავალებას აანალიზებს პროგრამა, მასწავლებელს არ სჭირდება ზედმეტი ძალისხმევა და ნაწერების გასწორება, შეუძლია პირდაპირ ამოებჭდოს და ჟურნალში ასახოს მოსწავლეთა შედეგები. ტესტის ანალიზი იძლევა სრულ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის წარმატების დინამიკაზე.

**Kahoot-** შესაძლებელია ვირტუალური კლასის შექმნა, მოსწავლეების გაერთიანება, დავალების მიწოდება. ტესტი შესრულება შესაძლებელია როგორც პირდაპირი ჩართვით, ასევე ასინქრონულად. ტესტის ტიპები სხვადასხვაა: არჩევითპასუხიანი, ჭეშმარიტი/მცდარი, შეაგროვე მოსაზრებები, იპოვე თავსატეხები. პროგრამა საშუალებას იძლევა კითხვაშივე ჩავსვათ ვიდეო, აუდიო, ფოტო. ხოლო უკვე შექმნილი ტესტი გაზიარდება კონკრეტულ ვირტუალურ კლასში, მიეთითება შესრულების დრო, ან პირდაპირი თამაშით სწავლისას ხდება ტესტის შესრულება, რომლის დროსაც მოსწავლესთან სავარაუდო პასუხებში მოცემულია გეომეტრიული ფიგურები, ე.ი ტესტის შესრულება შესაძლებელია მონიტორის საშუალებით, სადაც ისინი დაინახავენ კითხვა-პასუხს და საკუთარი მოწყობილობებიდან შეძლებენ პასუხის გაცემას. ტესტის შესრულების დრო განსაზღვრულია, ამიტომ მოითხოვს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებას, რათა მოახერხოს და იმ დროის მონაკვეთში გასცეს პასუხი, რა დროც აქვს განკუთვნილი.

**Triventy-** ონლაინტესტირებისთვის, მაგრამ განსხვავებით სხვა საიტებისგან საშუალებას იძლევა ტესტი შეიქმნას ერთობლივად. შედგება სამი ეტაპისაგან ტესტის შექმნა, მონაწილეთა მოწვევა და ტესტის დაწყება. ტესტი მიმდინარეობს დროის ლიმიტით, აქაც მთავარია მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება, სწრაფი აზროვნება, რომ დროულად გასცენ პასუხი, შესაძლებელია საკუთარი რეიტინგის კონტროლი, მოსწავლე თვალყურს ადევნებს საკუთარ შედეგს ასევე, შესაძლებლობას იძლევა გამოიყენოს დახმარება, მოაშორე არასწორი პასუხები, ამ შემთხვევაში მოსწავლეს მიუხედავად სწორი პასუხისა რეიტინგი დაბალი ექნება სხვებთან შედარებით.

**Quizlet**- თამაშით სწავლებისათვის. შესაძლებელია ვირტუალური კლასის შექმნა, მოსწავლეების გაერთიანება. მისი დაკავშირება google classroom-თან, პროგრამა სხვადასხვა სახის საქაღალდეების შექმნის საშუალებას იძლევა, რათა მასწავლებელმა ორგანიზებულად იმუშაოს. ტესტი არის თამაშზე ორიენტირებული და დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ძალიან სახალისო. ერთი ტიპით შექმნილი ტესტი შესაძლებელია სხვადასხვა ტიპით შევთავაზოთ მოსწავლეებს, მაგალითად სლაიდი, რომლის შეტრიალებით ჩანს სწორი პასუხი, იგივე კითხვა-პასუხი შეიძლება პლანეტების სახით წარმოჩნდეს, თითქოს პლანეტები ცვივა და სანამ ჩამოვარდება აღნიშნული პლანეტის სწორი პასუხის ჩაწერა უნდა მოესწროს, შეიძლება იგივე ტესტი ეკრანზე დაწყვილებით შესრულდეს, ყოველი ტიპი დროის ლიმიტს მოითხოვს, თუ კონკრეტულ დროში ვერ მოხერხდა შესრულება, ქულები აკლდება.

**Quizalize**- შესაძლებელია ვირტუალური კლასის შექმნა, ტესტების შესრულების მხრივ მოსწავლეს შეუძლია ტესტი დამოუკიდებლად შეასრულოს, მაშინ როცა სურს, ან ჩაერთოს ონლაინტესტირებაში, პროგრამა თავად ჰყოფს ჯგუფებად და მიმდინარეობს შეჯიბრება, გამარჯვებულ ჯგუფს ისევ პროგრამა გამოავლენს. მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს კლასში ატვირთოს დავალება მიუთითოს შესრულების დრო. შეიძლება რესურსად მიაწოდოს ვიდეო, ჩასვას ბმული, ან PDF ვერსია ატვირთოს. ასევე კლასში ატვირთული მასალა შეინახება კლასის რესურსებში, კლასს ასევე გააჩნია აქტივობის მაჩვენებელი და შეფასების დინამიკა.

**Pixton** -საიტი კომიქსების შესაქმნელად, მასწავლებელს საშუალება ეძლევა შექმნას ამა თუ იმ საკითხის თვალსაჩინოება კომიქსების სახით, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეებს უჭირთ წაკითხულის გააზრება, კომიქსი უმარტივეს გაიგონ ტექსტის შინაარსი, პროგრამა მრავალფეროვანი დეტალის არჩევანის საშუალებას იძლევა, მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს გარემო, სადაც შეიძლება მიმდინარეობდეს მოქმედება, აირჩიოს პერსონაჟები, მიაღებინოს მათ ის გამომეტყველება (ბედნიერი, მხიარული, დამწუხრებული), რომელიც ეპიზოდს შეესაბამება, გამოხატავდეს ისეთ მოქმედებას, რომელშიც უნდა იყოს, პერსონაჟი ჩანდეს წინა ხედაზე თუ სხვა რაიმე საგანი, ხოლო საუბარი, დიალოგური ფანჯრების

გამოყენებით შესრულდება. ეს საიტი მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მიზნით შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. საიტზე შესაძლებელია კლასების შექმნა, კლასში მასწავლებლისა და მოსწავლეთა გაერთიანება. ეს პროცესი ნაწილობრივ გაამარტივა დისტანციურმა სწავლებამ, რადგან ყველა მოსწავლეს აქვს TEAMS-ის მომხმარებელი და პაროლი, რომლითაც მარტივად შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და შეუერთდნენ მასწავლებლის მიერ შექმნილ კლასს. კლასში მოსწავლე თვითონ აირჩევს პერსონაჟს-საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყურებოდეს, ირჩევს ვარცხნილობას, ტანისამოსს... ეს ყოველივე მოსწავლეს უფრო მოტივირებულს ხდის, უვითარებს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს, გარდა ამისა მოსწავლეს შეუძლია რომელიმე კონკრეტულ თემაზე გააკეთოს კომიქსი და წარმოადგინოს. კომიქსზე მუშაობა ზრდის მოსწავლის შემოქმედებითობას. მასწავლებელს კომიქსის შესაფასებლად შეუძლია იქვე დაურთოს განმავითარებელი კომენტარი.

**storyjumper.com-** პროგრამა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ტექსტი გახადოს თვალსაჩინო, შექმნას ელექტრონული წიგნი, თითოეული ფურცელი შესაბამის გარემოსა და პერსონაჟებს მოარგოს, გამოიყენოს სხვადასხვა საგანი, ნივთი, ავეჯი, გარემო, ბუნება, საკლასო ოთახი, დარბაზი... ასე შექმნილი რესურსი მოსწავლეს უმარტივებს ტექსტის გაგება-გააზრებას, თვალსაჩინო მასალა მარტივად აღსაქმელია დაწყებით საფეხურზე და მოსწავლეები უფრო მეტად მოტივირებულები არიან. შესაძლებელია ხმოვანი წიგნის შექმნაც, წიგნი გადაიშლება შვეულეზრებად და ყოველი გადაშლისას ფურცლები შრიალებს. რაც სახლისოს ხდის რესურსს. წიგნის შექმნა ტექსტის მიხედვით მოსწავლესაც შეუძლია, ამ პროგრამაში მუშაობით მოსწავლეს უვითარდება ტექნოლოგიებზე მუშაობის უნარ-ჩვევები, მოსწავლე სწავლობს ფიქრს და ღებულობს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს, შექმნას ტექსტში აღწერილი შესაბამისი გარემო, შექმნას შესაბამისი პერსონაჟები და ის მოქმედებები რაც ტექსტშია, ყოველივე ამის საშუალებას იძლევა პროგრამა.

**Book creator-** ტექსტის თვალსაჩინოების მიზნით მასწავლებელი იყენებს საიტს ელექტრონული წიგნების შესაქმნელად, აქ შესაძლებელია ვიდეოს ჩასმა, ტექსტის ჩასმა, საკუთარი ხმის ჩაწერა და წიგნის გახმოვანება, პროგრამას აქვს არაერთი ელემენტი

იმისათვის რომ ტექსტის შესაბამისი გარემო შეიქმნას, ჩაისვას სხვადასხვა საგანი ან პერსონაჟი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. მსგავსი შინაარსის რესურსები მოსწავლეებს წარმოსახვის უნარს უვითარებს.

**Thinglink**-მალიან სასარგებლო და ხელსაყრელი საიტი მასწავლებლისათვის რომ გაუადვილდეს მას გაკვეთილის ჩატარება, განსაკუთრებით დისტანციური სწავლებისას. საიტზე შესაძლებელია გაკვეთილის ახსნა, ცოდნის გაღრმავება, შეჯამება, შეფასება. რესურსის შექმნისას ტექსტის ჩასმა, ვიდეოს, აუდიოს, ფოტომასალის, სხვადასხვა მზარესურსის ლინკის ჩაშენება, მზარეს ტესტების მიზმა. უკვე მზარეს რესურსის ლინკის გაზიარება ხდება მოსწავლესთან, ერთი ლინკით ხდება გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპებისთვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. მოსწავლე ნახავს ტექსტთან დაკავშირებულ ყველა რესურსს და შეასრულებს ტესტურ დავალებებს.

**movie maker** - მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს შექმნას ვიდეორესურსი. ჩაისვას საჭირო ფოტო/ვიდეო მასალა ჩაწეროს საკუთარი ხმა და თან დაურთოს ვიდეოს შექმნას, დროის ხაზი საშუალებას იძლევა ტექსტის შესაბამისად გაანაწილოს მასწავლებელმა ფოტოები, როდის შიცვალოს ფოტო და როდის გამოჩნდეს სხვა, ან იქნებ ნაწერი ჩაისვას, მასწავლებლის შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული ვიდეორესურსის შექმნა. ამ საიტის დადებითი ის არის რომ ვიდეოს ჩამოტვირთვა და მოწყობილობაში შენახვაა შესაძლებელი და მის გამოსაყენებლად საიტზე გადასვლა არ არის საჭირო.

**VideoAnt** - საიტი მასწავლებელს საშუალებას აძლევს ვიდეო გახადოს ინტერაქტიული, ინტერაქტიული ვიდეოს გამოყენებით საკითხი უფრო მარტივად გასააზრებელი და დასამახსოვრებელი ხდება, ვიდეოს ჩვენების პარალელურად მასში ჩასმულია ვიდეოს შინაარსიდან გამომდინარე კითხვები, მასწავლებელს შეუძლია არა მხოლოდ შინაარსის გაგების მიზნით ჩაისვას კითხვები ვიდეოში, არამედ მსჯელობის მიზნითაც. კითხვასთან ჩერდება, მოსწავლეები პასუხობენ და ისევ გრძელდება ვიდეოს ჩვენება. მსგავსი საიტია **Timeliness**. ამ საიტით შესაძლებელია სხვადასხვა ვიდეოს გაერთიანება ერთ ვიდეოში, ეს კარგია იმ თვალსაზრისით, რომ როცა სხვადასხვა ვიდეოს გამოყენება სურს მასწავლებელს ამა თუ იმ საკითხის ასახსნელად, შეუძლია ყველა ერთ ვიდეოში გააერთიანოს, გახადოს ინტერაქტიული და ამით მოსწავლეებს



გაუადვილოს შესასწავლი საკითხის გაგება-გააზრება. ინტერაქტიული ვიდეოს შექმნასთან ერთად, შესაძლებელია ტექსტის ჩასმა და ტესტური დავალებების შექმნა.

**wordwall.net** - კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა, კითხვის სიყვარული მოსწავლეებში ერთ-ერთი საყურადღებო პრობლემაა, ეს საიტი კი კარგი საშუალებაა მოსწავლეთა წასახალისებლად, წაკითხული წიგნის შესახებ გამართე ვიქტორინა, დაატრიალე ბორბალი და უპასუხე კითხვას. საიტი მასწავლებელს ეხმარება დააინტერესოს მოსწავლეები კითხვით და გაიგოს როგორ კითხულობენ მოსწავლეები, როგორ ესმით წაკითხული ტექსტი, როგორ მსჯელობენ წაკითხულზე, კითხვისას რას აქცევენ ყურადღებას, კითხულობენ ზედაპირულად თუ სიღრმისეულად ახსოვთ შინაარსი. ერთი შექმნილი რესურსი შეიძლება სხვადასხვა ფორმით ჩაირთოს.

**Wakelet**- შესაძლებელია კოლექციების შექმნა, ჯგუფური კოლექციების შექმნა, ვიდეოების ჩასმა, ტექსტის ჩასმა, მზა ტესტური სავარჯიშოების ლინკების ჩასმა, ანუ მასწავლებელი ამ საიტის გამოყენებით შეკრებს ყველა იმ რესურსს, რომელიც საკითხის ასახსნელად სჭირდება, თან დაურთავს ტექსტს და ამით გაკვეთილს ახსნის, შეაჯამებს და შეაფასებს რა როგორ გაიგეს მოსწავლეებმა. დისტანციური სწავლებისას მსგავსი საიტი მასწავლებელს ეხმარება მოკლე დროში განახორციელოს გაკვეთილზე გასავლელი აქტივობები და მიაღწიოს მიზანს, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგის გათვალისწინებით.

**liveworksheets.com**-ეს არის კარგი საშუალება მასწავლებელმა ვორდის დოკუმენტში შექმნილი რესურსი ინტერაქტიული გახადოს, ამით მასწავლებელს აღარ დასჭირდება ფურცლებზე შესრულებული დავალებების გასწორება, ეს საიტი შესრულებულ სავარჯიშოს თვითონ გაანალიზებს, რომელ მოსწავლემ რა დაწერა სწორად და რა არასწორად, ეს მონაცემები ინახება და მასწავლებელს აღარ სჭირდება მაკულატურის შეგროვება მოსწავლეთა შედეგების დასაფიქსირებლად, მასწავლებელს შეუძლია ატვირთოს დოკუმენტი და წიგნად აქციოს.

**Infogram**- მასწავლებელს შეუძლია შექმნას პრეზენტაცია ინტერაქტიული ელემენტების გამოყენებით და ამისთვის მას განსაკუთრებული გამოცდილება არ სჭირდება, პროგრამა მარტივია სამუშაოდ, შესაძლებელია სასწავლო თვალსაჩინოებების

შექმნა, ასევე საიტი მრავალფეროვანი დიზაინის არჩევის საშუალებას იძლევა. მასწავლებელი შექმნის ანიმაციებს, კომიქსებს მოძრავი ელემენტებით, ასე შექმნილი რესურსი სახალისო და დამაინტერესებელია მოსწავლეებისათვის.

**Buncee**- საიტი უსაზღვრო შესაძლებლობებით, მასწავლებელს ეხმარება ნებისმიერი ტექსტი წარმოადგინოს თვალსაჩინოდ. სხვადასხვა ტიპის რესურსის შექმნა შესაძლებელია, საიტზე თითქმის ყველა სახის გარემო მოიძებნება, ასევე სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო საგნები, სასწავლო ნივთები, ცხოველები, ფრინველები, ხილ-ბოსტნეული, წვრილმანი აქსესუარები. რაც ნებისმიერ მასწავლებელს გაუმარტივებს რესურსის შექმნას. შექმნა ოჯახი, სკოლა, ბიბლიოთეკა. ამოძრავი პერსონაჟები, გააკეთებინო კონკრეტული მოქმედება და ა.შ. შესაძლებელია როგორც ერთგვერდიანი თვალსაჩინობის შექმნა, შეიძლება ეს იყოს მისალოცი ბარათი, ან რომელიმე კონკრეტული საკითხის თვალსაჩინობა, ასევე შესაძლებელია რამოდენიმე გვერდის დამატება პრეზენტაციებისთვის. საიტზე მზა შაბლონების გამოყენებაც შეიძლება, ეს მზა შაბლონი გადააკეთოს იმ სახის რესურსად რაც მასწავლებელს სჭირდება.

## **კვლევა**

მნიშვნელოვანია ასაკობრივ-ინდივიდუალური თავისებურებებისა და მოსწავლეთა ინტერესებს მორგებული აქტივობებით წარვმართოთ სასწავლო პროცესი, სადაც აღსაზრდელი იქნება ლაღი, მშვიდი და მას არ ექნება შიში სწავლის პროცესში დაბრკოლებების, სასწავლო პროცესი იქნება უფრო ეფექტური, ხალისიანი, გააქტიურებს მოსწავლეთა ჩართულობას, მოახდენს ყურადღების კონცენტრირებას...

სააზროვნო უნარების განვითარებისთვის დღეს, 21-ე საუკუნეში, საუკეთესო დატვირთვითაა თანამედროვე ინოვაციური გაკვეთილები, კომპიუტერული ტექნოლოგიები როგორცაა: ბუკის მართვის ელექტრონული სისტემა, სლაიდშოუები, პრეზენტაციები, სხვადასხვა მრავალფეროვანი საიტები ტესტური დავალებების, ელექტრონული რესურსების შესაქმნელად.. ისედაც კომპიუტერებს შეყვარებულ მოსწავლეებისათვის ნებისმიერი ფორმით კომპიუტერული რესურსის გამოყენება მათ

უქმნით დადებით განწყობას, განწყობა განსაზღვრავს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მაჩვენებელს, უფრო მეტად მოტივირებულნი არიან სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის ფორმები განსაზღვრავს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას, ბუკის მართვის ელექტრონული ვერსია და სხვადასხვა საიტები კი მოსწავლეს ასწავლის საკუთარ თავზე მუშაობას, ინდივიდუალობას, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა განვითარებისათვის. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია წყვილური და ჯგუფური მუშაობაც, რადგან სწორედ ამ დროს სწავლობენ მოსწავლეები მეგობრობას, თანამშრომლობას, ურთიერთდახმარებას...

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისათვის სწავლა ნაკლებად საინტერესოა, მათთვის მეტად მნიშვნელოვანია კომპიუტერული თამაშები. სასწავლო პროცესში პრობლემა სწორედ ეს არის, ამიტომ თუ კომპიუტერს აქტიურად ჩავრთავთ სასწავლო პროცესში, ვფიქრობ, მივაღწევთ მიზანს, ვასწავლოთ ხალხით კომპიუტერის დახმარებით.

ჩემი მიზანი კვლევის წარმოებისას იყო, სწორედ წიგნისა და კომპიუტერის გაერთიანებით სახალისო და საინტერესო გაკვეთილები, უფრო მეტად თვალსაჩინო, მარტივი და მოსწავლეთა ინტერესებს მორგებული ყოფილიყო. მათი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშემწყობი. მინდა ჩემი კვლევით კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას განათლების რეფორმის აქტუალობას, რომ კომპიუტერიც ისეთივე აუცილებელია დღეს გაკვეთილის წასამართად, როგორც წიგნი. იტალიელი კულტუროლოგი, სემიოტიკოსი, ფილოსოფოსი და მწერალი უმბერტო ეკო ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ამბობს: ფარაონს შემფოთებულს უთქვამს დამწერლობის გამომგონებლისათვის“ ეს (დამწერლობა) მოკლავს ამას (მეხსიერებას)“, აბატმა კლოდ ფროლომ- ჰიუგოს რომანის პერსონაჟმა მიუთითა ჯერ წიგნზე, შემდეგ ტაძარზე და ბრძანა: „ეს (წიგნი) მოკლავს ამას (რწმენას)“. დღეს ჯერ კომპიუტერზე მიუთითებენ, შემდეგ წიგნზე და კვლავ იმავე ფრაზას იმეორებენ „ეს (კომპიუტერი) მოკლავს ამას (წიგნს)“. „კომპიუტერი ვერ მოკლავს წიგნს“ მთავარია მისი სწორად გამოყენება ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა კომპიუტერი იყოს ინფორმაციის მიღების წყარო და არა ფუჭად დროის კარგვის საშუალება.

დავაკვირდი მოსწავლეებს როდის უფრო უკეთ მსჯელობენ ტექსტის ირგვლივ, გაგება-გააზრება როდის უფრო ეფექტური იყო, როცა ჩვეულებრივ ფლიფჩარტებზე ან დაფა-წიგნის გამოყენებით აიხსნება გაკვეთილი თუ როცა მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები იქნება ჩართული გაკვეთილის წარმართვისას. როდის უფრო გააზრებულია დავალება, როდესაც გაკვეთილს ვუხსნით და სახლში ასრულებენ თუ ვიყენებთ შებრუნებულ საკასო ოთახს, სადაც გაკვეთილს სახლში ეცნობა წინასწარ შექმნილი ელექტრონული რესურსის გამოყენებით, ხოლო დავალებები სკოლაში სრულდება.

რადგან ყველა ბავშვი ერთნაირი არ არის, ერთნაირად არ შეუძლიათ აღქმა, გაგება, გააზრება, იმისათვის რომ მივაღწიოთ დაწყებითი კლასების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მისაღწევ შედეგს საჭიროა იმ მიდგომების გამოყენება რომელიც უშუალოდ მოსწავლის ინდივიდუალობას გულისხმობს.

კვლევის მიზანი მსგავსია ე.ს.გ.-ს მიზანთან, აქ იკვლევა თუ როგორ უნდა მივაღწიოთ მიზანს და არის ის გზა ეფექტური, რომელსაც ვირჩევთ? ამას სასწავლო პროცესი და მასზე დაკვირვება გვიჩვენებს.

გავესაუბრე მშობლებს, წიგნისა და კომპიუტერის გამოყენების თვალსაზრისით და აღმოჩნდა, რომ მოსწავლე მთელი ემოციებით მოახსენებდა ხოლმე მშობელს კომპიუტერით შესრულებული დავალებებისა და აქტივობების შესახებ.

კვლევამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიებით მრავალფეროვანი სახალისო გაკვეთილების ჩატარება. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა უნებლიედ, თავისით ხდებოდა და ამის წინაპირობად მომყავს ფაქტი, რომ დღეს ყველას, განსაკუთრებით ახალ თაობას, მოსწონს, უყვარს და, უფრო მეტიც, მათი ჰობია ტექნოლოგიები.

პრაქტიკის კვლევა ძირითადად გაკვეთილზე დაკვირვებით წარმართე, ეტაპობრივად ვიყენებდი ტექნოლოგიებს და ზოგჯერ გარკვეული პერიოდი მხოლოდ წიგნი+დაფით შემოვიფარგლებოდი, ამ პროცესზე დაკვირვებამ კი დანამდვილებით გაუსვა ხაზი ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას დაწყებით კლასებში, რადგან

მოსწავლეებისათვის დამღელი და მოსაბეზრებელი აღმოჩნდა ერთფეროვანი გაკვეთილები.

გარდა საგაკვეთილო პროცესში რესურსების აქტიურად გამოყენებისა, ეტაპობრივად ვატარებდი ვიქტორინებსა და კონკურსებს ელექტრონული რესურსების გამოყენებით. პროექტორი, კომპიუტერი, დამსწრე პედკოლექტივი, დაინტერესებული მოსწავლეები...

სწავლებასა და საკლასო ოთახებში რეალური ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებითა და ურთიერთთანამშრომლობით, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მასწავლებლების ყოველდღიურ საქმიანობასთან სკოლაში. მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლეების სასწავლო მიზნებს, ცდილობს მათ შესთავაზოს სასიამოვნო, მრავალფეროვანი, მოსწავლეთა ინტერესებს მორგებული საგაკვეთილო პროცესი.

ამ დაკვირვებამ კიდევ უფრო მეტად აგვიმაღლა მოტივაცია, ჩემი კოლეგებიც დაინტერესდნენ და გამოთქვეს სამომავლოდ მზაობა, რომ მეტი დატვირთვა მივცეთ კომპიუტერს და უფრო მეტად მრავალფეროვანი, სახალისო, საინტერესო გავხადოთ მოსწავლეებისათვის საგაკვეთილო პროცესი, ყოველივე მოვარგოთ მოსწავლეთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს, მათი ასაკობრივ-ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შევექმნათ ისეთი რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას, მათ აღზრდა-განათლებას.

ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლა-სწავლების პროცესი უფრო მეტად აქტიური ხდება და შედეგიც უფრო თვალსაჩინოა. სწორად გამიზნული გაკვეთილით, მრავალფეროვანი რესურსებით, ტექნოლოგიების სწორად და აქტიურად გამოყენებით სახალისო ხდება გაკვეთილების ჩატარება, მოსწავლეთა მოტივირებულობა და აკადემიური მაჩვენებელიც მაღალია.

პანდემიამ მოულოდნელად გადართო მთლიანად განათლების სისტემა დისტანციურ სწავლებაზე, ამ ფონზე არც დისტანციური სწავლების გამოცდილება არსებობდა და ვერც მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა მასწავლებელთა გადამზადება

დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად, ეს პროცესი როგორი აღმოჩნდა, რომელი პლატფორმით ხელმძღვანელობდნენ მასწავლებლები, რა იყო მათთვის პლატფორმის ღირსება და ნაკლი, როგორ ქმნიდნენ რესურსებს და საერთო ფონზე როგორ წარიმართა დისტანციური სწავლება ვაწარმოე კვლევა, კვლევაში მონაწილეობა მიიღო საჯარო და კერძო სკოლების 1274 მასწავლებელმა.

კითხვაზე, თუ რა სახის სირთულეები ჰქონდათ დისტანციური სწავლებისას-ძირითადად მასწავლებელთა უმრავლესობა საუბრობს ტექნიკურ ხარვეზზე, კომპიუტერის/ტელეფონების არქონასა და ინტერნეტის პრობლემებზე, რომელიც აფერხებდა კავშირს.

მხოლოდ რამოდენმე მასწავლებელი საუბრობს რესურსების არქონაზე, ეს მიუთითებს რომ მასწავლებელს თვითონ არ ჰქონდა კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები. შემცირებული გაკვეთილების რაოდენობა, მოსწავლეთა დასწრების პრობლემები, პროგრამის გაუმართაობა. სამწუხაროა. მაგრამ მასწავლებლებს უწევთ საუბარი, რომ მშობლები მუშაობდნენ მოსწავლეების ნაცვლად. მხოლოდ რამოდენიმე მასწავლებელი საუბრობს, რომ უჭირდათ მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრება, ელ.წიგნების და რესურსების გააზრება, მაშინ როდესაც მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დისტანციური მუშაობისას მეტი საშუალებაა რესურსები გამოიყენონ, რომ რესურსების მრავალფეროვნებით უფრო მარტივად გასაგები იყო ტექსტი. ასევე ერთეულები საუბრობენ დაფის გამოყენებისას ხარვეზებზე. სიზარმაცე, მოუწესრიგებლობა, უყურადღებობა, გამოუცდელობა, ხმაური, სისულელე, არაფრისმომცემი, დავალების შემოწმების სირთულე, მოსწავლეები ვერ ახერხებდნენ ყურადღების კონცენტრირებას, შეგრძნება თითქოს არავინ გისმენს, ტექნოლოგიების არცოდნა, - ეს ჩამონათვალი მხოლოდ ერთეული მასწავლებლების აზრია და საერთო აზრს მოკლებულია, რადგან მასწავლებელთა უმეტესობა საპირისპიროზე საუბრობს.

პირიქით კარგი იყო, ყველაფრის დემონსტრირებისა და ჩვენების საშუალებას იძლეოდა, დამოუკიდებლად პროფესიული ზრდა, ვებინარებისა და ვიდეოინსტრუქციების შესწავლა, თვითგანათლებისთვის, რესურსების შექმნით გამოწვეული უძილო ღამეები. ხოლო რამოდენიმე პედაგოგი გარემო პირობებიდან

გამომდინარე მიზეზებზე საუბრობს, როგორცაა მრავალშვილიან ოჯახებთან ჩართულობის პრობლემა, პატარა საცხოვრებელი ფართი, სიცივე და სამი-ოთხი ადამიანი დისტანციურად ჩართული.

კითხვაზე -**შეგიძლიათ გვითხრათ ის უპირატესობები რაც დისტანციურ სწავლებას აქვს**- მასწავლებელთა უმრავლესობა პლატფორმის უპირატესად მიიჩნევს მრავალფეროვანი რესურსების აქტიურად გამოყენებას, დისტანციური სწავლებისას საამისოდ მეტი შანსია, ეკრანის გაზიარებით მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს აჩვენოს ვიდეორესურსი, პრეზენტაცია, ელექტრონული წიგნები.... დასწრებული სწავლების შემთხვევაში კი მასწავლებელს სჭირდება კომპიუტერი და პროექტორი, სკოლებს კი არა აქვთ საკმაო რაოდენობის პროექტორები, რათა ყველა მასწავლებელს ჰქონდეს სარგებლობის შანსი.

მასწავლებლის პროფესიული ზრდა, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების აღმოჩენა-გამოყენება. წვდომა ულევ მასალასთან, სხვადასხვა ტრენინგების გავლა. ინფორმირებული ყველა სიახლეების შესახებ, რასაც მანამდე მოკლებულნი იყვნენ. მოსწავლე რომელიც დისტანციური სწავლის პროცესში გააქტიურდა, მას მოტივაცია აუმაღლდა და ის სკოლაშიც აქტიური დაბრუნდა დისტანციური გაკვეთილების შემდეგ.

ზოგიერთისთვის უპირატესობაა ის ფაქტი, რომ მოხდა მშობელთა ჩართულობა შვილის სასწავლო პროცესში, ერთეულები უპირატესად მიიჩნევენ სახლიდან მუშაობას. მოსახერხებელია დროისა და ადგილის მიუხედავად. თანამედროვე და კომფორტული სწავლება.

მოსწავლეები უფრო მეტად არიან მონდომებული და დაინტერესებულნი, უფრო სახალისო და აქტიური გაკვეთილები ტარდება, ამოუწურავია სიახლეები, ყველა მოსწავლე წიგნს დაუახლოვდა.

ბავშვი თავისუფლად არის, აღარ გვყავს ე.წ. მორცხვი გაუბედავი ბავშვები. მათი პრეზენტაციების და პროექტების წარდგენა გახდა უფრო შთამბეჭდავი. ჩვეული პასუხისმგებლობითა და შრომისუნარიანობით გვანცვიფრებდნენ. სკოლაში თუ მოსწავლე ვერ ავლენდა საკუთარ შესაძლებლობებს, ონლაინ აქტიურად ჩაერთვნენ

სასწავლო პროცესში. მოსწავლე მუშაობს ინდივიდუალურად, სწავლობს საკუთარ თავზე მუშაობას.

სკოლაში მოძველებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა საშუალებას ისეთი მრავალფეროვანი გაკვეთილები ჩატარდეს, როგორც დისტანციურად ვაწვდიდით. კლასი უნდა იყოს აღჭურვილი ხარისხიანი ინტერნეტით, მონიტორებითა და თვალსაჩინოებებით, რომ შესაძლებელი იყოს დასწრებული სწავლების რეჟიმშიც კი ისე შევთავაზოთ რესურსები, როგორც ეს დისტანციურის შემთხვევაშია შესაძლებელი. საგნობრივი კაბინეტები არ არის სკოლებში, დისტანციურ სწავლებამ კი ყველა რესურსის გამოყენების შესაძლებლობა მისცა.

უწყვეტი კომუნიკაცია ბავშვებთან და მშობლებთან, მშობლებს უფრო მეტად აქვთ ინფორმაცია შვილის ცოდნის შესახებ, რა შეუძლია მის შვილს და რა არა. აღმოაჩინეს რაში სჭირდებოდათ დახმარება მათ შვილს, მეტი ყურადღება გამოიჩინეს და გაითვალისწინეს. მშობლებს მოუწიათ შვილების გვერდით მჯდარიყვნენ და გააცნობიერეს რამდენი შრომა უწევს მასწავლებელს.

ნაკლები ფურცელი და უაზროდ დახარჯული დრო არა გვაქვს დისტანციური მუშაობისას, მრავალფეროვნება, ტესტები, რესურსები, ვიდეოები, დღევანდელ პერიოდში ყველაფერი ციფრულადაა. მოსწავლეებს განუვითარდათ ტექნოლოგიების მართვის უნარ-ჩვევები. მოსწავლეთა შესაძლებლობები სხვა კუთხით დაინახეს და აღმოაჩინეს მათი ინტერესები და მიდრეკილებები. მოსწავლეები სიხარულით ურთიერთობენ კომპიუტერებთან.

ზოგიერთი მასწავლებელი უპირატესად მიიჩნევს ჩანაწერს, რომლის ნახვაც შეუძლიათ მოსწავლეებს გაკვეთილის შემდეგ, უპირატესობად თვლიან იმ ფაქტს, რომ მოსწავლეს მეტი დრო აქვს სწავლისთვის, სამეცადინოდ.

ერთეული მასწავლებლები ფულის დაზოგვიდან გამომდინარე საუბრობს და ამბობს, რომ ტრანსპორტის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის ფულის დაზოგვაა დისტანციური სწავლება.

კითხვაზე -თუ რა მიაჩნიათ მათ მიერ გამოყენებული პლატფორმის ღირსებად და ნაკლად- მასწავლებელთა უმეტესობა საუბრობს რომ რესურსების გამოყენების



მრავალფეროვნება იყო ღირსება, ასევე ჯგუფური სამუშაო. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, მოსწავლეთა ნამუშევრების ორგანიზება, ქვეჯგუფებში მუშაობა. შეფასების რუბრიკის შედგენა, რადგან უკუკავშირი მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია.

ნაწილი მასწავლებლების საუბრობს თიმის მულტიფუნქციონალურებასა და უნიკალურ შესაძლებლობებზე, ორგანიზატორს რომ შეუძლია მართოს, სხვებს არა აქვთ ორგანიზატორის ნებართვის გარეშე რაიმეს გაზიარების საშუალება. თიმის ღირსებად მიაჩნიათ რომ მოსახერხებელია მშობელთა კრების ჩატარება, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა, ტრენინგებზე დასწრება. თიმში ინახება ინფორმაცია მოსწავლეთა დასწრების, აქტიურობის შესახებ, გამჭვირვალე და ობიექტურია მოსწავლეთა შეფასება. დაფის გაზიარება, მრავალფეროვანი რესურსები, მასალის საინტერესოდ მიწოდება, უკუკავშირი, დავალებების მიცემა, ახალი მასალის ახსნა, შემაჯამებელი ტესტების შექმნა გაზიარება, დაფის გამოყენება. მოსწავლეთა სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობა, თიმის მიღწევა კარგი, საინტერესო გაკვეთილები ვიდრე სკოლაში. თიმს არანაირი ნაკლი არ ჰქონდა. ვიდეოჩანაწერების გაკეთება კლასის მართვის შესაძლებლობა, მრავალფეროვანი პროგრამების ჩაშენება, გამოყენება, დავალებების ფაილში გაერთიანება,

ზუმის შესაძლებლობა, ტესტებისა და კომპოზიციების შედგენა, კომპლექსური დავალებების შესრულებისას აქტიური ჩართულობა ხალისით შესრულებული სამუშაო.

Zoom ადვილად ასათვისებელია, შესაძლებელია ეკრანის გაზიარება, ჩანაწერის გაკეთება, დაფის გაზიარება, ჯგუფებად დაყოფა.

მასწავლებლისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოა შექმნილი. უამრავი ალტერნატივა, მეტის კეთების უნარი, დიდ გამოცდილება. ღირსებაა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც უკეთ აითვისეს ტექნოლოგიები, ეს თანამედროვე ცხოვრებაზე ფეხის აწყობაა. გამართული, მოწესრიგებული მრავალფეროვანი შესაძლებლობებით მუშაობა. ეკრანის გაზიარებით ელექტრონული წიგნის გაზიარება, კლასის მართვისას ხელის აწევის ფუნქცია, ჩატით საგანმანათლებლო თამაშების შეთავაზება.

ხოლო ნაკლი ძირითადად ტექნიკური სახისა, საუბრობენ გაუმართავ მოწყობილობებსა და ინტერნეტის ხარვეზზე. ასევე კომპიუტერს მიჯაჭვულობა.

საგნობრივი შესაძლებლობების ჩაშენება კარგი იქნებოდა, ინტერნეტში ხეტიალის გარეშე.

ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანია დიდხანს კომპიუტერთან ჯდომა

სასურველია მთლიანად გაქართულება საიტისა და იქნებ შესაძლებელი გახდეს ბევრ მოსწავლეს ერთდროულად ადევნო თვალი.

თიხში ბევრის ჩართულობის შემთხვევაში ხმა იკარგებოდა ან ორმაგდებოდა.

ნაკლია რომ ეკრანზე ყველა დამსწრეს ვერ ხედავ. სამუშაო დატვირთვა მეტ დროს მოითხოვს. ხმოვანი უკუკავშირის ღილაკის არარსებობა.

თვალსაჩინოების სიმცირე, მაშინ როდესაც მასწავლებელთა უმრავლესობა საუბროს რომ დისტანციური სწავლება მრავალფეროვანი რესურსების მარტივად გამოყენების საშუალებას იძლევა, ძალიან მცირე რაოდენობა მასწავლებლებისა საუბრობს რესურსების არარსებობაზე.

კვლევიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ გამოკითხული მასწავლებლების 75% მზად არის დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად, რომ ეს მათთვის სასიამოვნო და კომფორტული სამუშაოა, მათ აქვთ შესაძლებლობა რესურსების მრავალფეროვნებით სახალისო და აქტიური გაკვეთილები დაგეგმონ და ჩაატარონ. რომ ეს არის 21-ე საუკუნის გამოწვევა და მას ფეხი აუწყვეს მასწავლებლებმა.

#### §4. გაკვეთილის დაგეგმვა ონლაინრესურსების საშუალებით

##### დისტანციური სწავლებისას

დისტანციური სწავლება, მცირე დრო და მასწავლებლის წინაშე ჩასატარებელი აქტივობები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია, პროგრამას გააჩნია თავისი დანიშნულება, რესურსის შექმნა გაკვეთილის ასახსნელად, გაგება-გააზრებისთვის, გაკვეთილის შეჯამებისა თუ დავალებისთვის.

გთავაზობთ სარეკომენდაციო ცხრილს:

„ონლაინრესურსები დისტანციური გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე“

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილება სასწავლო მიზნებთან მიმართებით)	ეროვნული სასწავლო გეგმა I-IV	ეროვნული სასწავლო გეგმა V-VI				
1.	საორგანიზაციო საკითხების გაცნობა.	პრეზენტაცია საუბარი	ინდივიდუალური	Teams შეფასების რუბრიკა PowerPoint შეფასების რუბრიკა, ქცევის წესები						
2.	წინარე ცოდნის გააქტიურება .	ინდივიდუალური ლური ბეჭდვით, ზეპირი სავარჯიშოს შესრულება	ინდივიდუალური	<table border="1"> <tr> <td>Padlet- ელექტრონულ ბეჭდვა Teams-თეთრ ბეჭდვა PowerPoint- იერიში Learningapps.org- დააკავშირე</td> <td>საერთო დაფაზე დაფაზე გონებრივი უპასუხე,</td> </tr> <tr> <td>Microsoft Forms Quizizz.com Triventy Quizlent.com Tvshool</td> <td>-ღია ტესტური სავარჯიშოები</td> </tr> </table>	Padlet- ელექტრონულ ბეჭდვა Teams-თეთრ ბეჭდვა PowerPoint- იერიში Learningapps.org- დააკავშირე	საერთო დაფაზე დაფაზე გონებრივი უპასუხე,	Microsoft Forms Quizizz.com Triventy Quizlent.com Tvshool	-ღია ტესტური სავარჯიშოები	ქართ.და წყ.(I).1, (I).5,	ქართ.და წყ.(II).1, (II).5
Padlet- ელექტრონულ ბეჭდვა Teams-თეთრ ბეჭდვა PowerPoint- იერიში Learningapps.org- დააკავშირე	საერთო დაფაზე დაფაზე გონებრივი უპასუხე,									
Microsoft Forms Quizizz.com Triventy Quizlent.com Tvshool	-ღია ტესტური სავარჯიშოები									

3.	ახალი მასალის გაცნობა	პრეზენტაცია, საუბარი	ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური	<p>PowerPoint-მზა სლაიდები  გაკვეთილის ასახსნელად  Prezi.com-სლაიდები  გაკვეთილის ასახსნელად  storyjumper.com-  მასწავლებლის მიერ  შექმნილი ილუსტრირებული  ელექტრონული წიგნი, ან  პაუზებით კითხვისთვის  შექმნილი ელექტრონული  წიგნი  thinglink-ტექსტი, წიგნი,  ვიდეო, აუდიო, ფოტომასალა,  ყველა ერთ სივრცეში  movie maker-ტექსტის  მიხედვით ვიდეოს შექმნა  Powtoon.com-ტექსტის  მიხედვით ვიდეოს შექმნა  videoant-ინტერაქტიული  ვიდეოს შექმნა  Timeliness-ინტერაქტიული  ვიდეოს შექმნა  Wakelet-პრეზენტაცია,  ვიდეო, აუდიო, ფოტო,  ტექსტი ყველა ერთ სივრცეში.  Wakelet-ელექტრონული  წიგნის შექმნა  animaker.com-ანიმაციებისა  და პრეზენტაციების შექმნა  Buncee.com-  თვალსაჩინოების შექმნა  Pixton-კომიქსების შექმნა  El.ge-მზა რესურსების  მოძიება  Canva.ge-ხმოვანი  პრეზენტაციები, ანიმაციები  Quizizz.com-ტექსტი, ვიდეო,  აუდიო, ტესტი ყველაფერი  ერთ სივრცეში.</p>	ქართ.და წყ.(I).1, 2, 10,	ქართ.და წყ.(II).2, 6, 8,9,
----	-----------------------	----------------------	----------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------	----------------------------

4.	გაგება-გააზრება. სიღრმისეული წვდომა	რესურსის დემონსტრირება	ინდივიდუალური	<p>videoant-ინტერაქტიული ვიდეოს შექმნა</p> <p>Timelinely-ინტერაქტიული ვიდეოს შექმნა</p> <p>Wakelet-პრეზენტაცია, ვიდეო, აუდიო, ფოტო, ტექსტი ყველა ერთ სივრცეში.</p> <p>PowerPoint-მზა სლაიდები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის</p> <p>Prezi.com-სლაიდები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის.</p> <p>Storyjumper.com-პაუზებით კითხვისთვის შექმნილი ელექტრონული წიგნი.</p> <p>thinglink-ტექსტი, წიგნი, ვიდეო, აუდიო, ფოტომასალა, ყველა ერთ სივრცეში.</p> <p>animaker.com-ანიმაციებისა და პრეზენტაციების შექმნა</p> <p>Pixton-მოსწავლის მიერ ტექსტის შესაბამისი კომიქსების შექმნა.</p>	ქართ.და წყ.(I).2, 6, 7, 9, 10, 11	ქართ.და წყ.(II).4, 6,
----	-------------------------------------	------------------------	---------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------	-----------------------

5.	გაკვეთილის შეჯამება	ტესტები, სავარჯიშოები შემეცნებითი თამაშები, კომიქსები	ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური	<p>Microsoft Forms-ეპიზოდის დალაგება, ღია და დახურული კითხვები, კითხვები ცარიელი ველით.</p> <p>Quizizz.com-ღია და დახურული კითხვები, კითხვები ცარიელი ველით.</p> <p>Triventy-ღია და დახურული კითხვები, კითხვები ცარიელი ველით.</p> <p>Quizlent.com-ბარათები, ტესტები, სხვადასხვა საგანმანათლებლო თამაშები</p> <p>Tvshool-არჩევითპასუხიანი ტესტები</p> <p>Learningapps.org- არჩევითპასუხიანი ტესტები დააკავშირება, ეპიზოდის დალაგება, მარკირება, დროის ხაზი, დოდი</p> <p>Padlet- საერთო ელექტრონულ დაფაზე ბეჭდვა</p> <p>Teams-თეთრ დაფაზე ბეჭდვა.</p> <p>liveworksheets.com- ინტერაქტიული დავალება</p> <p>quizalize-ბარათები, ტესტები</p> <p>kahoot- არჩევითპასუხიანი ტესტები</p> <p>PowerPoint-სავარჯიშოების ერთობლივად შესრულება.</p> <p>wordwall.net-დაატრიალე ბორბალი და უპასუხე კითხვებს, ეს სასწავლო თამაში სხვადასხვაგვარად შეიძლება წარიმართოს. კარტი, ბარათები, ტესტები.</p> <p>app.wizer.me- ინტერაქტიული სამუშაო ფურცლები, ტესტები, ბარათები, ვიდეო, აუდიო მასალები</p>	ქართ.და წყ.(I).2, 3, 7, 9, 12, 14, 15	ქართ.და წყ.(II).1, 2, 3, 5, 7, 9, 10
----	---------------------	-------------------------------------------------------	----------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------	--------------------------------------

6.	<b>შეფასება</b>	საუბარი, კომენტარი	ინდივიდუალური	Teams-შეფასების რუბრიკა Powerpoint-შეფასების რუბრიკა ტესტებზე დართული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები	ქართ.და წყ.(I).	ქართ.და წყ.(II).
7.	<b>დავალება</b>	გასიტყვება, ონლაინტესტები, პროექტები, კომიქსები	ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური	Word, PowerPoint - ინდივიდუალური ან ერთობლივი მუშაობისთვის. Padlet-ელექტრონული დაფა სხვადასხვა ტიპის ტესტები- microsoft forms, quizizz.com, tvshool, quizalize. quizlent, kahoot, triventy. liveworksheets.com	ქართ.და წყ.(I). 3,8,13,14, 15	ქართ.და წყ.(II).3,5, 7,8,9,10, 11,12

**§5 „ახალი სკოლის მოდელი“ და ტექნოლოგიების ინტეგრირება  
კომპლექსურ დავალებებში**

საქართველოს განათლების სისტემა აქტიურად მუშაობს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მის დანერგვაზე სკოლებში. რამოდენიმე სკოლა უკვე ჩართულია და მუშაობს. როგორც ირკვევა, 2024 წლისთვის ყველა სკოლა დაიწყებს მუშაობას ახალი სკოლის მოდელით. ახალი სკოლის მოდელით თითქმის არც არაფერი იცვლება, არ იცვლება საგანთა რაოდენობა, კურიკულუმი, მიზნები, იცვლება მხოლოდ მეთოდები, თუ როგორ, რა პრინციპით უნდა დაგეგმოს მასწავლებელმა გაკვეთილი ისე რომ, მოსწავლეებს განუვითაროს უფრო სიღრმისეული კომპეტენციები.

ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია სწორად შესთავაზოს მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა, კომპლექსური

დავალება ეს არის საკითხის შეჯამება, ის არ კეთდება ყოველ გაკვეთილზე და სანამ კომპლექსური დავალება უნდა მისცეს მოსწავლეებს შესასრულებლად, მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც დიდი შრომა სჭირდებათ, რადგან მასწავლებლის მითითებით მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა შექმნან კომპლექსური დავალება კვლევა-ძიებით. კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით მოსწავლემ თავისი შემოქმედებით უნდა შექმნას პროდუქტი, კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის: პრეზენტაცია, კომიქსი, ცხრილების შექმნა, შევსება, კროსვორდების შედგენა, გასიტყვება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი საკითხი და ის ხანგრძლივი დროით რჩება მის მეხსიერებაში. შეიძლება მოსწავლეს რომელიმე იგავის შინაარსი ზუსტად არ დაამახსოვრდეს, მაგრამ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობით ცნება „იგავი“ მის მეხსიერებაში ხანგრძლივად რჩება. კომპლექსური დავალება იქმნება სამიზნე ცნებაზე, ერთი კომპლექსური დავალება შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ერთ სამიზნე ცნებას ან რამოდენიმეს ერთდროულად. თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც განსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ საფეხურის ბოლოს ამა თუ იმ ცნებასთან დაკავშირებით.

კომპლექსური დავალების ძლიერ მხარედ მიიჩნევა ის, რომ მოსწავლე თვითონ არის ჩართული სასწავლო პროცესში, სწავლობს აღმოჩენით, კეთებით, დაკვირვებით. მასწავლებელი მოსწავლის ფასილიტატორია, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების შესაძლებლობებს და ინდივიდუალურად გეგმავს კომპლექსურ დავალებას. მოსწავლე არა მხოლოდ იმახსოვრებს მიღებულ ცოდნას, არამედ მას უკავშირებს ცხოვრებისეულ მოვლენებს, ახდენს ცოდნის ტრანსფერს. მოსწავლე წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ქმნის ახალ პროდუქტს, ეს პროცესი კი მოსწავლეს უფრო შემოქმედებითს ხდის, ის აკვირდება საკუთარ შესაძლებლობებს და აცნობიერებს სუსტსა და ძლიერ მხარეებს, რაშიც საკვანძო შეკითხვები ეხმარება, საკვანძო შეკითხვებს მასწავლებელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობამდე აწვდის მოსწავლეებს, რათა დააკვირდეს საკუთარ თავს მუშაობის პროცესში და დააკვირდეს საკუთარ თავს. მასწავლებელი და მოსწავლეები არ არიან დროში შეზღუდულნი, როცა ჩათვლის მასწავლებელი, რომ მოსწავლეებმა იციან



ესა თუ ის ცნება და აცნობიერებენ ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს მასწავლებელი მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებას.

კომპლექსური დავალების უპირატესობაა ის, რომ ყველაზე სუსტი მოსწავლეც კი გააქტიურდება, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მისი პრეზენტაციისას ყველა მოსწავლე ლიდერია და ეს ძალიან მოსწონთ მათ, პრეზენტაციისას მოსწავლეებს ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები უვითარდებათ და ისინი აქტიური მსმენელები ხდებიან, უსმენენ თანაკლასელების პრეზენტაციებს, გამოსვლებს და აფასებენ მათ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შემდეგ ხდება თვითშეფასება და სხვათა შეფასება, როდესაც მოსწავლემ იცის, რომ პრეზენტატორი უნდა შეაფასოს, მეტი ყურადღებით უსმენს მას.

ყველა მოსწავლე ერთნაირად ვერ აღიქვამს და ერთნაირი ტემპით ვერ სწავლობს, ამიტომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ეს შეიძლება სირთულე იყოს, რადგან მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს და დავალების პირობა ისე შეადგინოს, რომ ყველამ შეძლოს მისი შესრულება. ე.ი. გათვლა უნდა მოხდეს საშუალო მოსწავლის მოსწავლეზე. კომპლექსურ დავალებას როგორ შეასრულებს და როგორ პროდუქტს შექმნის მოსწავლე, ეს დამოკიდებულია იმ მოსამზადებელი გზის გავლაზე, რაც კომპლექსური დავალების წინაპირობა იყო, როგორ გაიარა, რა და როგორ ისწავლა, რა გააცნობიერა, საკვანძო შეკითხვები ნათელს ჰფენს შესასრულებელ დავალებას. კომპლექსურ დავალებას მოსწავლე ქმნის ისე, როგორც მას შეუძლია, გამომდინარე აქედან ზოგიერთი მოსწავლის დავალება შეიძლება მეტად ხატოვნად, გაფორმებით დატვირთული იყოს, ზოგიერთისა კი მხოლოდ გასიტყვება.

უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენად რთულიც არ უნდა იყოს ყველა მოსწავლის შეფასება, თითოეული კომპლექსური დავალება ობიექტურად და ამომწურავად უნდა შეფასდეს.

დისტანციური სწავლებისას მასწავლებელი ქმნის კომპლექსური დავალების პირობას და აღნიშნულ ვორდის დოკუმენტს ელექტრონულად უგზავნის მოსწავლეებს. ელექტრონული რესურსის მიწოდება მასწავლებლისათვის უფრო მარტივი და მოსახერხებელია ვიდრე ფურცლებზე ბეჭდვა-მიწოდება. ტექნოლოგიების ჩართვით კომპლექსური დავალებების შესრულებისას სწავლის პროცესი სახალისოა. აღვივებს

მოსწავლეთა შემოქმედებით უნარს, მოსწავლე ინტერესდება ისეთი თემის შესწავლით, რომელიც მანამდე, შესაძლოა საერთოდ, არ აინტერესებდა. მოსწავლე ახდენს სასწავლო გამოცდილების ინტეგრაციას კონკრეტული ტექსტის საგნებთან, მოსწავლეები სწავლობენ გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობას. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა უშუალო, პოზიტიური, თბილი და ლაღია, მოსწავლე მეტად დაცულად გრძნობს თავს და არა აქვს შიში გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

კომპლექსური დავალებებისთვის ინტერაქტიული სამუშაო ფურცლების შექმნა შესაძლებელია app.wizer.me-პროგრამის დახმარებით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ღია კითხვის დასმა, არჩევითპასუხიანი კითხვის დასმა, სამუშაო დაფა გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, შესაძლებელია დავხატოთ რაიმე ეპიზოდის ილუსტრაცია, ასევე შესაძლებელია სურათის, ვიდეოს ლინკის შემოტანა ინტერაქტიულ ფურცლებზე, ასევე დისკუსიის წარმართვის საშუალებას იძლევა, შესაძლებელია თავსატეხების შექმნა, ყოველივე ეს ხელს უწყობს, მოსწავლე შემოქმედებითად მიუდგეს კომპლექსური დავალების შესრულებას და შექმნას პროდუქტი, რომელზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითარებს სააზროვნო უნარებს, შემოქმედებითობას, ორგანიზატორულ ნიჭს, ტექნოლოგიების ფლობის უნარ-ჩვევებს.

### დასკვნები და რეკომენდაციები

თუ საჭიროება მოითხოვს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ჩაერთოს შინიდან, გასათვალისწინებელია რამოდენიმე რეკომენდაცია, რათა გეგმიურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. ეს რეკომენდაციებია:

- დისტანციური სწავლების განსაზღვრა
- სამუშაოს დაგეგმვა
- მოსწავლესთან დაკავშირების ფორმისა და საშუალების განსაზღვრა
- სასწავლო რესურსის შექმნა

- სწავლებისას მოულოდნელად წარმოჩენილი გამოწვევების გათვლა
- გაკვეთილზე გამოსაყენებელი ციფრული სერვისების შერჩევა
- შეცდომების თავიდან აცილება
- ონლაინპლატფორმების განსაზღვრა ვიდეოშეხვედრებისთვის, დავალებების

შემოწმებისთვის, მონიტორინგისთვის, უკუკავშირისთვის.

**დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის** აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს პლატფორმა, რომლითაც წარიმართება სასწავლო პროცესი, წინასწარ უნდა განისაზღვროს რა ფორმით მოხდება ჩართვა, თუ კი ვიდეოჩართვით უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი ეს წინასწარ უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა და გეგმის შესაბამისდ მოხდება ჩართვა, ასევე უნდა დაიგეგმოს დავალებებსა თუ ტესტურ სავარჯიშოებს რომელი სერვისით და რა ფორმით შესთავაზებენ, უნდა განისაზღვროს აქტივობის დროს რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს და ჰქონდეს ნაფიქრი გამოსავალზე.

**სამუშაოს დაგეგმვა** -გეგმის შედგენა, კვირის გეგმა, თვის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა, მიზანი, მიზნის მისაღწევი შედეგი, შედეგზე გასვლის ხერხები და საშუალებები.

სასურველია თუ მოსწავლეს ექნება გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება დავალების შესრულების დრო, ვადა, მასწავლებელთან კონსულტაცია, საიტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს, ლინკები.

**სასწავლო მასალის შექმნა**- სასწავლო მასალის შექმნისას გასათვალისწინებელია ასაკის შესაბამისი ინსტრუქციების მიცემა, განმარტებები, რეკომენდაციები, საშინაო დავალების ფორმა სრულიად განსხვავდება ტრადიციულისაგან. აქ გამოიყენება სხვადასხვა საიტი, ელექტრონული დავალებები, ტესტები, ონლაინ დაფა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მოსწავლემ მოახდინოს საკუთარი ცოდნის დემონსტრირება. მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის შექმნისას რესურსებზე მუშაობა, რესურსს დისტანციური სწავლების რეჟიმში არსებითი როლი აკისრია, რამდენად ეფექტური რესურსის მიწოდებასაც შეძლებს პედაგოგი, იმდენად ეფექტურად წარიმართება გაკვეთილი. მართალია ინტერნეტსივრცეში არაერთი პრეზენტაცია,

ვიდეორესურსი თუ ანიმაცია მოიძებნება, მაგრამ სასურველია პედაგოგი თავადაც ქმნიდეს რესურსს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ციფრული ინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ხათუნა ხალვაში. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2020
2. მასწავლებლის წიგნი - გაკვეთილები დისტანციური სწავლებისთვის. მ.რატინი. ქ.მიქაძე. მ.ბოჭორიშვილი და სხვები. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2020.
3. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. პ.პაპავა. პ.თვალაიშვილი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი 2011.
4. ელექტრონული სწავლების დანერგვა. მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების პროგრამა. თბილისი 2013.
5. Теория и практика дистанционного обучения: Учеб. пособие для студ. высш. пед. учебн. заведений / Е. С. Полат, М. Ю. Бухаркина, М. В. Моисеева; Под ред. Е. С. Полат // М.: Издательский центр «Академия», 2004.
6. Полат Е. С. Педагогические технологии дистанционного обучения / Е. С. Полат, М. В. Моисеева, А. Е. Петров; под ред. Е. С. Полат. — М.: Академия, 2006.
7. Хусяинов Т. М. История развития и распространения дистанционного образования // Педагогика и просвещение. — 2014. — № 4.
8. Anderson, T., & Dron, J. (2010). Three generations of distance education pedagogy. *The International Review of Research in Open and Distance Learning*, 12(3),

9. Burns, Mary. *Distance Education for Teacher Training: Modes, Models and Methods.*

Retrieved 10 September 2012